

(22) მ. კ. მ. მ.

ს-938

საქსალმო ბუღუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხოვრება და ღვაწლი
დედოფალ
მარია მადრიანისა

აბესალომ ტულუში

ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ
მარიამ დადიანისა

ქ. ზუგდიდი, მ. გ. შ. 1992 წ.
ქ. თბილისი, მ. გ. შ. 1992 წ.

ა. ვ. ტ. შ.
24. X. 11. 92.



უძველესი მეცნიერებაში ჩემი დამაკვიანებლის, შესანიშნავი შეკვლევებისა და დიდებულების
ნო კაცის, პროფესორ შოთა შუსხიას ნათელ ხსოვნას.

ეს პატარა წიგნი 1977 წელს დაიწერა, მაგრამ მავანთა გამოცემით
მისი გამოცემა ვეღარ მოხერხდა. ეტყობა, მასში მამულიშვილური გრძნობის
გამძლე ძებნა, არასასურველ ნაშრომს ხედავდნენ. ახლა კი, ღვთის წყალო-
ბით, საქართველოს ისტორიით გატაცებულ მკითხველებს საშუალება
ექვსავთ, წაიკითხონ ამ სწორედაც რომ დიდი მამულიშვილისა და განსაც-
ვიფრებელი შემართების დედოფლის, მარიამის ცხოვრებისა და
მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ეს ნაშრომი, რომელიც გამოცემის წინ კიდევ
ერთხელ გადავამუშავე.

ამ წიგნს, ცხადია, დედოფალ მარიამ დადიანის ცხოვრებისა და
მოღვაწეობის ყოვლისმომცველად და ღრმად შესწავლის პრეტენზია არა
აქვს. ჩვენი მიზანი ბევრად მოკრძალებულია.

ა.ტ.

სამეცნიერო რედაქტორი- დოქტორი მარინე შუსხია
სტილისტ-რედაქტორი- ირმა მაისურაძე
მხატვარი-ქეთევან თვაური



K226328
3

წინასიტყვა

ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას არაერთი სახელოვანი ქალი ახსოვს. მათ შორის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო და განსაკუთრებულად ღვაწლმოსილი დედოფალი მარიამ დადიანი იყო.

ისტორიკოსი ბერი ევნატაშვილი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა, ასე ახასიათებს მარიამ დედოფალს:

„ედგა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოს კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან. იყო ყოველთურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ (ყოფილა)„ (58. გვ. 441).

კარის პოეტი ფეშანგი ხითარიშვილი დედოფალ მარიამ დადიანზე, რომელსაც „ზღვათა მეფის ასულად“, მოიხსენიებს, თავის „შაჰნავაზიანში“, წერს:

„შეამკო ტახტი ნათლითა ეღვარედ შუქთა მფენემან,
ტკბილმოუბარმან, მდაბალმან, მუდამ ცისკროვნად მთენემან,
სამოთხის ნერგმან შუენებით სულ სურნელ აღმომცენემან,
მთუარისა მზგავსად გავსილმან, ნაზად თავისი მქენემან.

თუკი კარის პოეტის, ფეშანგის მიერ მარიამ დედოფლის ქება-დიდება ხაზოტბო პოეზიისათვის დამახასიათებელ გაზვიადებულობად შეიძლება მოგვეჩვენოს, ამას ვერ დავწამებთ მის თანამედროვე მეორე პოეტს, ნოდარ ციციშვილს, რომელიც 1640 წელს როსტომ მეფის (და, ცხადია, მისი თანამეცხედრის-მარიამ დედოფლის) ტახტიდან ჩამოგდების მიზნით ქართლელ დიდებულთა ერთერთი შეთქმულების მეთაურიც კი იყო, და რომელმაც, ისევე როგორც არაერთმა მისმა თანამედროვემ, აღტაცებული სტრიქონები უძღვნა მას.

„მისსა ვით იტყვის ქებასა პლატონ ან სოკრატ ბრძნობილი?

უნაკლულთა ყოვლითა, საღვთოთ საქმითა ცნობილი,
წმინდათა მიმზგავსებული, ქალწულთა თანაცმობილი,

ეშმაკთ მიმდები ყოველი არს მის წინაშე გმობილი". (71. გვ. 1)

„სამღივნო წიგნში“, შეტანილ ერთერთ ჩაბრუნებულ ლექსში კი მარიამ დედოფალზე ნათქვამია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიტყვი ფიცითა, ღვთითა და ცითა

სხვა ამათებრი არვინ ნახულა,

აღმოსავლეთით და დასავლეთით

ქართლს სადედოფლოდ ეს მონახულა... (42. გვ. 452)

ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1694...) ქართლის ამ დედოფალს „დედათა შიგან ნაქებს“, უწოდებს (10. გვ. 241), მაკარიოს პატრიარქი (1648-1672) კი, რომელიც 1664 წელს ეწვია საქართველოს, ხასკასმით აღნიშნავდა, რომ „მარიამ გვარად დადიანი, ცნობილიაო კეთილი საქმეებით“, (87. გვ. 757)...

თუ რაოდენ დიდად პატივმოსილი იყო მარიამ დედოფალი თანამედროვეთა შორის, კარგად ჩანს იმ სიტყვებიდან, რომელიც ეკუთვნის არა ვინმე ჩვეულებრივ მოკვდავს, არამედ თვით იმერეთის მეფის თანამეცხედრებს, „ჩვენის კერძის წმინდის იმერეთის მშობლის ალაგს მისაჩენელს ყოველს ქვეყანას სიკეთეზედ ხმა განთქმულს, ბედნიერს ბატონს დედოფალს თავდაკრა და შვენიერს ზელს მთხვევნა გვაკადრებინეთო“, - წერდა იმერეთის დედოფალი მარიამ დედოფალს (80 1. გვ. 74).

რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს, ესოდენი პატივით მოსილი ამ დიდებული მოღვაწის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდის არაა სათანადოდ შესწავლილი. გ. წერეთლისა (73) და დ. ქორიძის (68) წერილები, რომლებიც მარიამ დედოფლისადმი მიძღვნილი, ვერ გვიქმნიან სრულ წარმოდგენას ამ დიდებული მანდილოსნის ღვაწლზე და წინააღმდეგობებით საკვებ პირად ცხოვრებაზე. რაც შეეხება ანგანსვენებული ახალგაზრდა მკვლევარის, დავით ფლენტის 1985 წელს გამოქვეყნებულ წერილს, ის მარიამის მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს - სახელმწიფოს განმგებლობაში მონაწილეობის საკითხს შეეხება (44).

ამიტომ ამ პატარა წიგნში შევეცდები მარიამ დედოფლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეძლებისდაგვარად სრული სურათის აღდგენას.



მარიამ დადიანი იყო ასული ოდიშის მთავრის, მანუჩარ დადიანისა, რომელიც ტახტზე 1590-1611 წლებში იჯდა. მარიამი მანუჩარ დადიანს ჰყავდა მეორე ცოლისაგან, რომლის ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება წყაროთა შეჯერების საფუძველზე.

მანუჩარ I დადიანის პირველი მეუღლე იყო ნესტან-დარეჯან ბაგრატიონი, კახეთის სახელგანთქმული მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) ასული, რომლის ხელსაც მას სპარსეთის მრისხანე მბრძანებელი შაჰ-აბას I სთხოვდა. კახეთის მეფემ, რომელსაც საქართველოს მოსისხლე მტერზე თავისი ასულის გათხოვების გაცონებაც არ უნდოდა, ის სასწრაფოდ მიათხოვა ოდიშის მთავარს, შაჰს კი მოუბოდიშა, სანამ ჩემი ასულის ხელს მთხოვდით, ის დადიანზე იქნა დაწინდული და ნუ გამირისხდებითო (4. გვ. 34). რუსი ელჩების, კუზმა სოვინისა და ანდრეი პოლუხანოვის ცნობით, მანუჩარ I დადიანი ნესტან-დარეჯან ბაგრატიონზე 1596 წელს დაქორწინებულა (4. გვ. 34). რუსი ელჩების ამ ცნობაზე და არქანჯელო ლამბერტის ცნობაზე დაყრდნობით პროფ. ილია ანთელავამ დაადგინა ნესტან-დარეჯან ბაგრატიონისა და მანუჩარ I დადიანის პირმშოს - ლევან დადიანის დაბადების ზუსტი თარიღი - 1597 წელი (4. გვ. 36), რომელიც ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების წელიცაა, რადგან ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757...) ცნობით, ლევანის „შობასვე მოკვდა ნესტან-დარეჯანი,“ (6. გვ. 823).

ნესტან-დარეჯანის გლოვას რომ მორჩა, მანუჩარ დადიანმა, ვახუშტის ცნობით, „მოიყვანა ცოლად ქურივი ვახტანგ გურიელისა და ასული ათაბაგისა და იქორწინა მის თანა“ (6. გვ. 823). ბერი ევნატაშვილი კი გვაუწყებს, რომ „მარიამი ნაშობი იყო ათაბაგის ქალისა,“ (58. გვ. 419).

მანუჩარ დადიანის მეუღლეს, მარიამ დადიანის დედას, როგორც ირკვევა, სახელად თამარი რქმევია.

შემოქმედის ხატის წარწერიდან ჩანს, რომ „დედოფალმა ათაბაგის ქალმან, ბატონმან თამარ, თანამეცხედრემან გურიელისა ვახტანგისამან“ ეს ხატი შემოქმედის ტამარში დაახვეწა „საფლავსა ზედა ვახტანგისასა, დახსნად ხულისა მისისათვის“ და თავისი შვილის „გურიელის ბატონისა, ქაიხოსროსათვის სადღეგრძელოდ“. (80. გვ. 122).

მარიამ დადიანის დედას, ანონიმი ქართველი მემკვიდრის ცნობითაც, თამარი რქმევია (58. გვ. 532).

ამრიგად დადგინდა, რომ მარიამ დადიანის დედა ყოფილა თამარ ჯაყელი (ათაბაგები ხომ ჯაყელთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ), რომელსაც პირველი, გარდაცვლილი მეუღლისაგან, ვახტანგ ფურფელისაგან ჰყოლია ძე ქაიხოსრო გურიელი. ირკვევა კიდევ ერთი რამეც: დადიანთა მარიამ დადიანი და XVII საუკუნის შუა ხანების დასავლეთ საქართველოს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ქაიხოსრო გურიელი, რომელიც 1639-1658 წლებში იჯდა გურიის სამთავრო ტახტზე (53) და-ძმა ყოფილან.

მანუჩარ დადიანს თამარ ჯაყელისაგან ოთხი შვილი ჰყავდა-ერეკლე, იესე (იოსები), მარიამი და კიდევ ერთი ასული, რომლის სახელი წყაროებს არ შემოუნახავთ.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ავღნიშნე, მანუჩარ დადიანმა თამარ ჯაყელი ცოლად შეირთო „შემდგომად გლოვისა“, რომელიც ერთ წელს მაინც გასტანდა. ამიტომ მანუჩარის და თამარის შეუღლება 1598 წლამდე ვერ მოხდებოდა. პროფ. ილია ანთელავა რუსი ელჩების ზემოთ მოხსენიებულ ცნობაზე და არქანჯელო ლამბერტის ცნობაზე დაყრდნობით ამ ქორწინების თარიღად სწორედ 1598 წელს ასახელებს (4. გვ. 37).

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, იესე იყო უფროსი, ერეკლე, მარიამი თუ მათი სახელდაკარგული და, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მარიამი იყო უფროსი, მისი დაბადების თარიღი 1599 წელს არ გასცდება.

ცნობილია, რომ მარიამი სვიმონ გურიელს მიათხოვეს 1621 წელს. ძველ საქართველოში კი 12 წელზე ნაკლები ასაკის გოგოს ვათხოვება აკრძალული იყო.

* 1652 წელს თეიმურაზ I-ის მიერ რუსეთის სახელმწიფოს კარზე გაგზავნილი ელჩების მასალებში აღნიშნულია, რომ ლევან დადიანმა თავისი ერთი და ირანის შაჰს გაუგზავნა, ხოლო მეორე როსტომ ხანს მიათხოვა. (40. გვ. 44).

** მაგალითად 1748 წელს, თფილისში გამართულ საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონის 22-ე მუხლში კვითხულობთ: „ხოლო უკეთუ ენებოს ვისმე ქორწინება... მიიყვანოს ქალწული ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსა მეტისა... ხოლო უკეთუ არა ყონ ესრეთ არამედ იქორწინონ ქალისა თანა უსაკოსა, განა ჩვილისა... მაშინღა განხრწნენ ცოლნი მათნი“. (60. გვ. 802).



ამ წესის გათვალისწინებით მარიამი 1609 წელზე გვიან არაა დაბადებული.*

ამრიგად, მარიამ დადიანი 1599-1609 წლებს შორის უნდა დაბადებულიყო.

გ.წერეთელი მარიამ დადიანისდმი მიძღვნილ წერილში ამბობს, რომ ლევან დადიანმა თავისი და მარიამი 16 წლისა მიათხოვაო სვიმონ გურიელს (73). ჩემთვის უცნობია, თუ რა წყაროს ეყრდნობოდა გ.წერეთელი ამ შემთხვევაში, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ გათხოვებისას მარიამის წლოვანების შესახებ ცნობა მას თვითონვე შეეთხზა. როგორც ჩანს, მას რაღაც სხვა, დღემდის არ მოღწეული წყარო ჰქონდა ხელთ. ესეც არ იყო, მარიამ დადიანის დაბადების გ.წერეთლისეული თარიღი ექცევა ამ დიდი მოღვაწე ქალის დაბადების ჩემს მიერ დადგენილი დროის მონაკვეთში (ქვედა და ზედა ზღვრებში), რაც გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: დედოფალი მარიამ დადიანი დაბადებულა დაახლოებით 1605 წელს.

მარიამი, ისევე როგორც ყველა სხვა დიდებულის შვილი, უნდა გაემძიკვებინათ რომელიმე თავადის ან აზნაურის სახლში. 1634 წელს შედგენილ მის მზითვებში დასახელებულია მისი „პატიოსანი, სასახლოდ ზრდილი გამდელი ლერწამტანისა...“ (8.გვ.215)

მარიამი ადრე დაობლდა. 1611 წელს, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ნადირობისა შინა ხრომან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოკლა იგი...“ (6.გვ.816). ეს ამბავი ზუგდიდის მომიჯნავე ტყეში მოხდა. თურმე მანუჩარ დადიანი და ფარუხია გოშაძე (გოშუა) ერთ ირემს მისდევდნენ, მანუჩარი ცხენიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. უმაღლვე სასახლეში წაიყვანეს მხლებლებმა. აქ მომაკვდავმა მთავარმა თავისი უმცროსი ძმა, გიორგი ლიპარიტიანი** იხმო სასწრაფოდ. ხატ-ჯვარიც მოასვენებინა. თავისი 14 წლის პირმშო, ლევანი მთავრად გამოაცხადა, მურვედ კი გიორგი ლიპარიტიანი დაუნიშნა. გიორგიმ მომაკვდავ ძმას შეჰფიცა, ცივ ნიაკს არ მიაკარებდა მის შვილებს და როცა ლევანი სრულწლოვანი გახდებოდა, სამთავროს მართვას მას ჩააბარებდა.

* გ.წერეთლისეული თარიღს მარიამ დადიანის დაბადებისა იზიარებენ მკვლევარები ლ.აკეელიძე (30.გვ.130) და დ.ქორიძე (68.გვ.86).

** ოდიშის სამთავროს ჯველაზე მნიშვნელოვანი საუფლისწულო-სათავადოს სალიპარტიანოს მფლობელი ლიპარიტიანებად იწოდებოდნენ.

გიორგი ლიპარიტიანმა პირნალად შეასრულა თავისი ფიცი, ობოლ უფლისწულებს საკადრისად უპატირონა. 1614 წელს კი სამთავროს მართვის სრული უფლება უკვე სრულ ასაკოვან, 18 წლის ლევან II დადიანს გადასცა.

1621 წელს მარიამ დადიანი გურიის მთავრის მამია III-ის შესწავლას გურიელს მიათხოვეს. ამ ქორწინების თარიღი მითითებულია ერთერთ ქრონიკაში. „ქ(რონი)კ(ონ)ს :ტ: სვიმონ მამია გურიელის ძემ ქორწილი ქნა ლევან დადიანის დას მარიამზედ,“-ნათქვამია ამ წყაროში (42.გვ.444) ქრონიკონი :ტთ: ანუ 309 შეესაბამება 1621 წელს. მარიამს სვიმონ გურულისაგან ეყოლა შვილი-ოტია. ოზურგეთში, გურიელის სასახლეში მარიამი თავს ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ 1625 წელს ის შუაძრწუნა თავისი მეუღლის უღირსმა საქციელმა. სამთავრო გვირგვინზე მეოცნებე სვიმონ გურიელმა მოკლა თავისი მამა, მთავარი მამია და სამთავრო ტახტზე თვითონ დაბრძანდა.

ამის გამგონე ლევან მეორე დადიანმა ჯარები შეჰყარა და გურიაში შეიჭრა. ლევან II დადიანისთვის სვიმონ გურიელის მიერ მამის მოკვდინება შესანიშნავი საბაბი იყო თავისი პოლიტიკური მიზნის, გურიის სამთავროს დამორჩილების განსახორციელებლად. სვიმონ გურიელი თავისი ლაშქრით ლანჩხუთთან შეება ოდიშის მთავარს და სასტიკად დამარცხდა. მეტიც, ტყვედ ჩაუვარდა ოდიშის მთავარს, რომელმაც ის სასტიკად დასაჯა: „დასწუა თუალნი,“ და თავისი დაი მარიამ წაჰკვარა. გურიის მთავრად კათალიკოსი მალაქია გურიელი დასვა, თანამოსაყდრედ კი, როგორც ჩანს, მარიამის ძმა (დედის ძმა) ქაიხოსრო გურიელი დანიშნა.

წყაროებში არ შემონახულა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდა მარიამ დადიანი თავისი ძმის, ლევან მეორის ესოდენ სისასტიკეს, მაგრამ თავისი ქმრის მიერ შემაძრწუნებელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ისეთ სათნოს, როგორიც მარიამი იყო, შეუძლებელია მამის მკვლელ მეუღლესთან სარეცლის გაყოფის სურვილი ჰქონოდა. ასე იყო თუ ისე, ლევანმა მარიამი ქმარს გაჰყარა და სამეგრელოში წაიყვანა.

შვიდი წელიწადი ცხოვრობდა ამის შემდეგ მარიამი ზუგდიდში, თავისი ძმის სასახლეში და სევდასა და კაეშანს შვილის-მცირე წლოვანი ოტია გურიელის აღზრდაში კლავდა.

2. მარიამ დადიანის გადედოფლება

ქართლში



1632 წლის მიწურულს ირანის შაჰმა სეფი I-მა (1629-1642) ქართლის სამეფო ტახტი მის კანონიერ მემკვიდრეს, გამაჰმადიანებულ ქართველ უფლისწულს როსტომ ბაგრატიონს (1565-1658) უბოძა.

ეს ნიჭიერი, მამაცი, ენატკბილი და ამავე დროს ცბიერი და შორს მჭვრეტელი ბრძენკაცი. ჯერ სპარსეთის მონასპის (ყულის ჯარის) ხარდალი გახდა (27.გვ.68), შემდეგ კი ისპაჰანის ტარულაც (მოურავიც) შეიქნა (28.გვ.93-95). უფლისწული როსტომი, რომლის მაჰმადიანური სახელი ხოსრო-მირზა იყო, მას შემდეგ, რაც 1629 წელს თავისი ხელქვეითი ათიათასიანი ლაშქრის დახმარებით ირანის ფადიშაჰად შაჰ-აბას დიდის შვილი-შვილი შაჰ-სეფი I (1629-1642) დასვა, შაჰის შემდეგ მეორე პირად იქცა მის საბრძანებელში. იმ ხანად შაჰის სამსახურში მყოფი ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1694..) ცნობით, „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა,“ (10.გვ.238). ვახუშტი კი წერს რომ, როსტომს „ნიჭივდა ყაენი ურიცხვსა და უხმობდომ მამად,“ (6.გვ.) ქართული წყაროების ამ ცნობების სისწორეს ადასტურებს სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში (1561-1634), რომელიც წერს, რომ „როსტომ ხანი... უმაღლეს ხარისხამდე ამაღლდა,“ (33.გვ.64). კარმელიტების ქრონიკის ცნობითაც შაჰ-სეფის უახლოეს პირებს შორის ისპაჰანის ტარულა ხოსრო-მირზაც ყოფილა (93.გვ.279). როსტომ მეფისადმი ირანის შაჰის გამორჩეული დამოკიდებულება კარგად ჩანს მის მიერ გაცემული საბუთებიდანაც. „ჩემი ძმა ქართლის ვალი* როსტომ ხანი,“ - აი, ასე მოიხსენიებს მას შაჰი არაერთ საბუთში (50.გვ.48). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ირანის შაჰები „ძმის,“ პატივით მხოლოდღა თავის თანასწორ ხელმწიფეებს (რუსეთის მეფეს, თურქეთის სულთანს, და სხვებს) მოიხსენიებენ თავიანთ ფირმანებში, „შვილი,“-ს პატივს კი ყმადნაფიცი ქვეყნების გამორჩეულ ვალიებს წყალობდნენ (97.გვ.43), როსტომ მეფის დიდი პოლიტიკური წონა ჩვენთვის საცნაური გახდება (13.გვ.379; 51.გვ.77).

* ვალი, ისეთი ყმადნაფიცი ქვეყნის მმართველს ეწოდებოდა ირანში, რომელსაც მემკვიდრე მბრძანებლები განაგებდნენ და არა შაჰის მიერ დანიშნული უცხო ტომელი ხანები. ვალის საბრძანებლოს შემოსავალი ირანის სახელმწიფოს ხალაროში არ შედიოდა (52.გვ.108).

თავის გამახელმწიფებელ ქართველ უფლისწულს შაჰ-სეფიმ სულ მალე გადაუხადა პატივისცემა: ტახტიდან გადაყენებული ურჩი მეფის თეიმურაზ I-ის ნაცვლად ქართლის სამეფო გვირგვინი მას უბოძებოდა 1633 წლის 3 ნოემბერს (182.გვ.90). როსტომი ამ დროს 67 წლისაა.

ირანის ბრძანებულმა ქართლში მიმავალ როსტომ მეფეს ყიზილბაშთა დიდძალი ლაშქარიც აახლა, თავრიზის ბეგლარ-ბეგ როსტომ ხან სააკაძის მთავარსარდლობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა როსტომ მეფის ქართლის ტახტზე დასმა და ყიზილბაშს სელიმ ხანისათვის გადაცემა (10.გვ.240). როსტომს თან მოყვებოდა შაჰის კარზე მყოფ ერთგულ ქართველ დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამაღა. როსტომ მეფე საქართველოსაკენ 1632 წლის 1 დეკემბერს დაიძრა. 1633 წლის დამდეგს უკვე ყარაბაღში იყო, 1633 წლის 18 თებერვალს კიტფილისში შემოვიდა და ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა (41.გვ.40).

1626 წლიდან ქართლში მცხოვრები იტალიელი კათოლიკე მისიონერის პიეტრო ავატაბილის ცნობით, „ახალი მეფე ჯერ ქართლში არ იყო ჩასული, რომ უკვე დადიანის, ანუ ოდიშის (მთავრის) დაზე დაქორწინებას ცდილობდა, და ამ საქმეზე ღესპანს ღესპანზე აგზავნიდა (5.გვ.27).

სხვა წყაროებით კი ცნობილია, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანვე როსტომ მეფეს ცოლად შეურთავს ქეთევან გურჯაასის ასული აბაშიშვილი (77.გვ.317).

სწორედ ამის შემდეგ დაქორწინებულა როსტომ მეფე მარიამ დადიანზე. „მოუკვდა როსტომ მეფეს ცოლი პირველი და დაემზახლა ლევან დადიანსა და ამან მოსცაო დაი თვისი მარიამ,“- გვაუწყებს ვახუშტი ბაგრატიონი (6.გვ.440).

ქართლში გამეფებისთანავე როსტომ მეფე თავისი მონაპოვრის განმტკიცებაზე ზრუნვას შეუდგა. მის მეფობას იმერეთში თავის სიძესთან თავშეფარებული თეიმურაზ I-ის სახით ნიადაგ საშიშროება ემუქრებოდა. ამიტომ საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის შოვნა. ასეთი კი შორსმჭვრეტელ როსტომ მეფეს სამეგრელოს დაუდევარი და პატივმოყვარე მთავარი ეგულებოდა. მან ლევან II დადიანს „სამოყვრო მოციქულები,“ გაუგზავნა თბილელ ეპისკოპოს ელისე საგინაშვილის (1628-1659...) მეთაურობით, რომელმაც სამეგრელოს მბრძანებელს მისი დის დასაწინდი „დაწესებული ნიშანი,“ მიართვა (10.გვ.241). ლევან II ძლიერ გაახარა ამ წინადადებად,

რადგან როსტომ მეფის მოკავშირეობა მასაც არანაკლებ სჭირდებოდა იმერეთის სამეფოს ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში.

სამეგრელოს მთავარმა ქართლის მეფეს თავისი დესპეჩებუ ვეხლა სახელგანთქმული მოღვაწის, გამოცდილი დიპლომატის, ნიკოლოზ (ნიკაიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის (1585-1657) მეთაურობით. 1633 წლის ზაფხულში დადიანის დესპანები ქართლში ჩასულან (1. გვ. 54).

როსტომ მეფემ ირანის შაჰთან მაცნე აფრინა, მარიამ დადიანზე დაქორწინების შესახებ თავის განზრახვა აცნობა. შაჰ-სეფიმ როსტომ მეფეს დადიანთან დაკავშირება მოუწონა, რადგან მასაც კარგად ესმოდა ამ კავშირის პოლიტიკური სარგებლიანობა.

შაჰმა შირვანის ბეგლარ-ბეგ ფარუხანის ხელით როსტომ მეფეს საქორწილო საჩუქრები გამოუგზავნა (10. გვ. 241).

წინასწარი შეთანხმებისამებრ ქართლის მეფე და სამეგრელოს მთავარი ბაღდათთან მდებარე კაკას ხიდზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. როსტომ მეფე დიდი ლაშქრით, რომელშიც ქათიბ ჩელების (1609-1657) ცნობით 30 000 მეომარი ყოფილა (57. გვ. 236), ოცხეს დაბანაკდა, ლევან II დადიანმა კი თავის დასთან, მარიამთან ერთად „დიდის ლაშქრით“, საჩხვიძოში დასცა კარავი (72. გვ. 94; 10. გვ. 241).

იმერეთის მეფემ გიორგი III-მ (1605-1639) იმ მიზნით, რომ ჩაეშალათ მისთვის ესოდენ საშიში პოლიტიკური ქორწინება, თავის სიმამრ, მეფე-ყოფილ თეიმურაზთან ერთად გადაწყვიტა თავს დასხმოდა მექორწილეებს. მათ მრავალრიცხოვანი ლაშქრით სამეგრელო მთავარს გზა გადაუჭრეს. გიორგი მეფე „ცოტა კაცის“, თანხლებით ოდიშართა ლაშქრის დასაზვერავად წავიდა, მაგრამ მისმა ერთერთმა მხლებელმა შეატყობინა მეფის ამ წინდაუხედავი საქციელის შესახებ. ლევან დადიანმაც არ დააყოვნა, ანაზღუეულად თავს წაადგა რამდენიმე კაცის ანაბარად დარჩენილ მეფე გიორგის და დაატყვევა (6. გვ. 828).

ისკანდერ მუშნის (1561-1634) ცნობით, ოდიშის მთავრისა და იმერეთის მეფის ლაშქრები ერთმანეთს შებმიან და „დიდი ხოცვა-ჟლეტის“ შემდეგ ბრძოლა დადიანის გამარჯვებით დამთავრებულა. განსაცდელში ჩავარდნილი მეფე-ყოფილი თეიმურაზი კი ქუთაისის ციხეში ჩაკეტილა (33. გვ. 62-63). როგორც ილორის ხატის წარწერიდან ჩანს, დადიანის ლაშქრის შეტევა იმდენად მევესეული და ძლიერი ყოფილა, რომ მეფე-ყოფილ თეიმურაზს თავის დროშისა და საბრძოლო ჯვრის გადარჩენაც კი ვერ მოუხერხებია. ეს ნადავლი („დროშის თავი, ბრძოლის ჯვარი, იმ დროშის

ბუდე ოქროქსოვილი,) ლევან II დადიანს შემდეგ ილორის ეკლესიისათვის შეუწირავს (12.გვ.151).

როსტომ მეფე და ლევან II დადიანი, ერთმანეთს კაცის მრავალს შეხვდნენ (72.გვ.94). როგორც თვითონ როსტომ მეფე გვაუწყებს, მასმა ლევან დადიანის შეხვედრას დიდი „სიმხიარულე“ გამოუწვევია. ლევან დადიანმა მარიაში როსტომს გადასცა და ისე მდიდრულად გაამზიოთვა თავისი ჯერაც სრულიად ახალგაზრდა და ულამაზესი და როგორც მას ეკადრებოდა.

მზითებში მარიამ დადიანს გააყოლეს 38 კაცი: კარის მწირველად თავადის შვილი სერაპიონ ჩიჯავაძე (ჩინუა), მესტუმრედ თავადის შვილი ოთარ ჩხეიძე, მეორე მესტუმრედ იხთიანე ხინტკირია, ბოქაულად აზნაური ბავა ფაცია, მეორე ბოქაულად ბატკი ჯაფარიძე. მერიქიფედ თავადის შვილი ქაიხოსრო მიქელაძე, მეღვინედ მუშქვაპური გაგულია, მოლარედ პატია კვარაცხელია, მეორე მოლარედ თოლიკაკა მელია, მზარეულად თომიზილაი ლანჭუპია (ნაჭყეპია), მეორე მზარეულად ხილიაი ქიქავა და სხვა. გარდა ამისა, მარიამს გამოაყოლეს მისი გამდელი ლერწამტანისა, რომელიც აქ მოხსენებულია, როგორც „პატიოსანი, სასახელოთ ზრდილი... გამდელს თავის მხრივ ახლდა სამი მოახლე და ორი მსახური. მარიამს კი თორმეტი მოახლე ქალი და რამდენიმე მსახური ჰყავდა მიჩენილი (8.გვ.215-216).

მარიამის მაყრიონს მისივე ძმა (დედით ძმა) ქაიხოსრო გურიელი მეთაურობდა. მართალია, ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1694) მის სახელს არ ახსენებს, მაგრამ ის „გურიელი მეფეთ თქმული მეფისი“, რომელიც მისი ცნობით მარიამის მაყრიონში ყოფილა (10.გვ.242) სწორედ ქაიხოსრო გურიელი უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს სიტყვა „მეფისი“, რომელიც გურიელთა საგვარეულოს წარმომადგენელთაგან მხოლოდ ქაიხოსროზე შეიძლება თქმულიყო მარიამ დადიანთან მიმართებაში.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მაჰმადიანი როსტომ მეფე იმ მიზნით, რომ მარიამთან ქრისტიანული წესით შეუდლებულიყო, ვჯვარის წერის წინ ხელახლა მოინათლა (57.გვ.14).

ნუთუ ასე მეფესეულად იფეთქა ქრისტიანულმა სისხლმა როსტომ მეფის ძარღვებში, რომელსაც უკვე არცკი ახსოვდა, როდის უარყო ქრისტეს

* მარიამ დადიანის მზითვის წიგნი გამოსცეს საბარნაველმა (8.გვ.213-222) და შია იაშვილმა (38.გვ.8).

** მარიამ დადიანის და როსტომ მეფის ქორწინების შესახებ იხილეთ აგრეთვე პლ. იოსელიანისა (84.გვ.36) და დევიდ ლუნგის (96.გვ.11) ნაშრომები.

ჯვარი და შეიმოსა მაჰმადის ჩალმით? ასეთი რამ ხომ წარმოუდგენელია. მით უფრო კაცისაგან, რომელსაც სწორედ მაჰმადის რჯული უმაგრიტად ზურგს გვირგვინის მაძიებელ მეტოქესთან, დაუდევარ თვითმურხაბთან ბრძოლაში. მაშ რითი უნდა აიხსნას მისი ასეთი საქციელი? *სიხლამოთხა*

ვკონებ, ამის მიზეზი მარიამ დადიანის მედგარი წინააღმდეგობა უნდა ყოფილიყო. ის, როგორც უაღრესად მორწმუნე და სათნო ქრისტიანი, სასტიკი წინააღმდეგი იყო მაჰმადიან მეფესთან ქორწინებისა. იტალიელი კათოლიკე მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩი (1586-1646) საქართველოდან 1634 წლის 4 იანვარს გავზავნილ წერილში წერდა, რომ: „(როსტომ მეფემ), სურდა რა ცოლის შერთვა ყოველი გზა მოსინჯა... რომ დანათესავებოდა ოდიშის მთავარს დადიანს-დაქორწინებულყო მის დაზე„ (35.გვ.34). „ამბობენ, რომ ხსენებული ქალბატონი არავეითარ შემთხვევაში არ თანხმდებოდა ამ ქორწინებაზე„-ნათქვამია ამავე წერილში (35.გვ.35). მაგრამ როსტომ მეფეს იმდენად სჭირდებოდა ეს ქორწინება, რომ იძულებული გახდა მარიამის შეუდრეკელი ნებისათვის ანგარიში გაეწია და ხელეხლა მონათლულიყო (ან ვითომც მონათლულიყო). ცხადია, ასეთ ნაბიჯს ის თვითნებურად ვეღარ გადადგამდა. როგორც ჩანს, მას ამაზე შაჰის თანხმობაც ჰქონდა, რადგან შაჰ-სეფისაც კარგად ესმოდა ლევან II დადიანთან დანათესავეების უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა.

როსტომ მეფემ თავისი ულაამაზესი ახალგაზრდა თანამეცხედრე ქართლს წაიყვანა... მოვიდა ტფილისს და ქმნა ქორწილი მუნ დიდ-დიდებულნი„ (6.გვ.441).

ისტორიკოსი ბერი ვენატაშვილი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა, მარიამ დადიანის როსტომ მეფეზე გათხოვების თარიღად 1632 წელს უთითებს (58.გვ.420), ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757...) კი 1638 წელს (6.გვ.441); თურქი მემატიანე მუსტაფა ნაიმა (1655-1638) როსტომ მეფისა და მარიამ დადიანის შეუღლების ამბავს 1633-1634 წლების ამბებთან ერთად მოგვითხრობს (70.გვ.85; 36.გვ.71).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, იმოწმებს რა დორნის ნაშრომიდან „სპარსელ ისტორიკოსს“, როსტომ მეფისა და მარიამ დადიანის ქორწინების თარიღად 1634 წელს ასახელებს (78.გვ.376). 1634 წლით ათარიღებდა ამ ქორწინებას თედო ჟორდანიაც (42.გვ.444). ეს თარიღი დღეს უკვე დადგენილად ითვლება, მაგრამ ქართველი და უცხოური წყაროების შეჯერებით შესაძლებელი ხდება მისი კიდევ უფრო დაზუსტება-დავიწროება. მით უფრო, რომ ზოგიერთი მკვლევარი დღესაც არაა დარწმუნებული ამ თარი-

დის სისწორეში. მაგალითად, გულქან ყორყოლიანი ამ სამილედ წლის წინათ გამოცემულ წიგნში წერს, რომ „მარიამის ქართლში გადედოფლება 1633 წლის 25 დეკემბრით ან 1634 წლის დასაწყისით დასრულდა“ (41.გვ.144).

ზემოთ ერთხელ უკვე დავიმოწმე იტალიელი კათოლიკე მისიონერის ჯუზეპე ჯუდინეს (1586-1646) მიერ საქართველოდან 1634 წლის 4 იანვარს გაგზავნილი წერილი, მაგრამ მოგვიწევს მისი კიდევ ერთხელ გადაკითხვა. აქ შავით თეთრზე წერია, რომ სურდა რა ცოლის შერთვა, როსტომ მეფემ ყოველი გზა მოსინჯა... რომ დანათესაებოდა ოდიშის მთავარს დადიანს-დაქორწინებულები მის დაზე, მაგრამ ამბობენო, რომ ეს ქალბატონი არაფრით არ თანხმდებოდა ამ ქორწინებაზე (35.გვ.34).

მაშასადამე, ირკვევა, რომ 1634 წელს 4 იანვარს მარიამ დადიანი ჯერ კიდევ არ ყოფილა როსტომ მეფის ცოლი.

მეორე იტალიელი მისიონერის, პიეტრო ავიტაბილეს 1635 წლის 25 ნოემბრით დათარიღებული წერილიდან კი ვიგებთ, რომ წინა, 1634 წლის უფლის ამალლების დღესასწაულის დროს მარიამი უკვე ქართლის დედოფალია (5.გვ.34) უფლის ამალლების დღესასწაული კი 1634 წელს მოდიოდა 20 მაისზე.

თურქი ისტორიკოსის ქათიბ ჩელების (1609-1657) ცნობით, 1634 წლის 22 მაისს ხალილ ფაშას მიერ გაგზავნილ წერილში ნათქვამი ყოფილა, რომ „დადიანმა ქალიშვილი შაჰის მიერ დანიშნული ზაგემის გამგებელ ხოსრო-მირზას მიათხოვა“ (57.გვ. 236). ცხადია, ხალალ ფაშას წერილში, რომლის მიზანი ახალი მნიშვნელოვან-პოლიტიკური ამბების მიწოდება იყო ოსმალეთის მბრძანებლისათვის, ლაპარაკი უნდა იყოს რამდენიმე დღის თუ არა, რამდენიმე კვირის განმავლობაში მომხდარ ამბავზე.

სწორედ ქათიბ ჩელების ეს ცნობა იგულისხმება იმ წყაროში, რომელსაც ბ. დორნის ნაშრომიდან (94. გვ. 427) იმონუმებს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და შეცდომით „სპარსელ ისტორიკოს“ რომ უწოდებს (78.გვ. 376).

მარიამ დადიანი რომ მართლაც 1634 წელს გადედოფლდა ქართლში, ამას გვიმტკიცებენ მის მიერ ცალკე ან როსტომ მეფესთან ერთად გაცემული საბუთები.

1634 წლის 24 დეკემბრისთვის როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა „ერთგულებით და თავდადებით ნამსახურ ფაშას“, ბოქაულთ უზუცეს დავით დავითაშვილს უბოძეს „გარდაწვევტილობის წიგნი“ (61. გვ. 68; 47. გვ. 231)

1634 წელს მარიამ დედოფალმა „თარხნობის წიგნი, უბოძა სტრის ღვთისმშობლის ყმებს. (43. გვ. 18).

1634 წელს მარიამ დედოფალმა რუისში 4 კომლი გლეხი უბოძა ზუმბუად ლარაძეს და მის შვილებს (20. გვ. 25).

1634 წელს მარიამმა გაათარხნა სათბილელოს ყმები სამეფო და სადედოფლო გადასახადებისაგან.

ამრიგად ირკვევა, რომ მარიამ დადიანი ქართლში გადედოფლებულა 1634 წლის გაზაფხულზე.

მარიამ დადიანისა და როსტომ მეფის ქორწინებას რომ ამკარად პოლიტიკური სარჩული ჰქონდა, ეს არც თანადროულ და არც XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსებს აღარ გამოპარვიათ.

„მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მკვრობელი ერთმანეთს უხმობდნენ და იყო შური დიდი ერთმანეთშია და ამისათვის მოინდომა დადიანმან როსტომ მეფის მოყურობა და როსტომ მეფემან ამისათვის მოინდომა დადიანის მოყურობა, რომე ბატონი თეიმურაზ ამისი მტერი იყო და იმერეთში მაგრობდა და დადიანს იმისათვის ემტერებთანო,- წერს ბერი ეგნატაშვილი (58. გვ. 419). ასეთივე სწორი დასკვნა აქვთ გაკეთებული ვახუშტისაც (6. გვ. 440-441) და ნიკო დადიანსაც (19. გვ. 160).

ასე იყო თუ ისე, მარიამ დადიანი ქართლის დედოფალი გახდა და იმ ძნელბედობის ხანაში შესაშური გულმოდგინებითა და მიზანსწრაფულობით სიცოცხლის ბოლომდე მედგრად იღვაწა ჩვენი ეროვნული სულისა და სხეულის გადარჩენისათვის, ჩვენი ყველაზე დიდი საუნჯის, მჭევრქარე ქართული ენის შენარჩუნებისათვის.

ცხადია მიუხედავად თავისი დიდი ნიჭისა, განათლებისა, შემართებისა და დაუოკებელი სურვილისა, მარიამ დედოფალი ვერ შეძლებდა რაც შესძლო იმის მეოთხედის გაკეთებასაც კი, რომ არა როსტომ მეფის. ამ უაღრესად წინდახედული და მოქნილი პოლიტიკოსის მხრიდან მხურვალე მხარდაჭერა და შემწეობა.

როსტომ მეფე უაღრესად მოქნილი პოლიტიკოსი იყო და ის ყველაზე ნათლად ჩანს მის დამოკიდებულებაში თავის მეტოქესთან - ტახტწაგვილი თეიმურაზ მეფესთან.

ირანის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის, თეიმურაზ მეფის დატყვევება და ირანს გაგზავნა (ამის შესაძლებლობა კი არაერთხელ ჰქონდა) როსტომ მეფეს ხელს არ აძლევდა, რადგან ეს ირანისათვის მოხსნიდა იმ საშიშროებას, რომელიც მას თეიმურაზის მხრიდან მოელოდა და ქართ-

ლის მიმართ რბილი პოლიტიკა, რომელსაც სწორედ ამის გამო ახორციელებდა შაჰი, უცილობლად გამკაცრდებოდა, რაც, ცხადია, თვით როსტომ მეფის უფლებათა შეკვეცას და სულაც მისი სხვა, უკვე ეროვნებით სპარსი ხანით შეცვლასაც არ გამოირიცხავდა. აი, სწორედ ამ გარემოებებში ჩანდა (და სავსებით მართებულადაც) ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. ჯამბურია როსტომ მეფის მიერ თავისი ტახტის მოცილის არადატყვევებას. ასეთმა პოლიტიკურმა მოქნილობამ „როსტომს საშუალება მისცა, მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა„ (77. გვ. 323-324).

როგორც სპარსელი ისტორიკოსის, მუჰამედ ისპაჰანის (1586-1635...) თხზულებაში („ხულასატ ას-სიიარი“) დაცული ცნობიდან ირკვევა, თეიმურაზ მეფეს განზრახული ჰქონდა მარიამ დედოფლის მოტაცება, მაგრამ როსტომ მეფეს გაუგია რა ამის შესახებ, ალყა შემოურტყამს მისი ციხე სიმაგრისათვის და მისი ლაშქარიც დაუმარცხებია (82. გვ. 91).

როგორც ჩანს, ეს იმავე 1634 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ კახელ დიდებულთა თეიმურაზ მეფის თავკაცობით გალაშქრებისას უნდა მომხდარიყო, როცა როსტომ მეფემ მართლაც დაამარცხა თეიმურაზ მეფის ლაშქარი (18. გვ. 96).

3. მარიამ დედოფალი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე



1634 წელს, ქართლში გადედოფლებისთანავე მარიამ დადიანმა, როსტომ მეფისაგან დამოუკიდებლად სამეფო და სათათრო გადასახადებისაგან გაათავისუფლა სათბილელოს (თბილისის საეპისკოპო სამწყსოს) გლეხები, რაც სავსებით უჩვეულოა ქართული ფეოდალური სამართლისთვის. საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს - რა არის აქ უჩვეულო, მაგრამ აბა გულდასმით წავიკითხოთ ამონაწერი:

„ჩვენ დედოფალმან პატრონმა მარიამ ესე წყალობის და თარხნობის წიგნი ვიბოძეთ, თქვენ, ქალაქ სიონთა ღვთისმშობლის ყმათ, ასე რომ, ამას წინათ ხელმწიფეთაგან თარხანი იყუენით, ახლა თბილელი და სათბილელი ყმა პირის სანახავად მოგუართუეს, აწ ჩვენცა გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ, რომ არაფერი არა ხაჩუნო და არა ხანუფო და არა სათათრო სათხოვარი არ გეთხოვდებოდეს, (Ad-595).

ხედავთ, დედოფალი სათბილელოს ყმებს ათავისუფლებს არა მარტო სადედოფლო (ხაჩუნო), რისი უფლებაც მას, ცხადია, ჰქონდა, არამედ სამეფო და სათათრო (ანუ შაჰისათვის მიხამართმეველი) გადასახადისაგან, რომელიც მხოლოდ მეფის უფლებაა!

მარიამ დედოფალი იმთავითვე, მეფის ხელისუფლების მოზიარე გამხდარა, ის მეფის უფლებებითაა აღჭურვილი. ეს რომ გვიანდელი, ვთქვათ, ქართლში გადედოფლებიდან ორი-სამი წლის შემდეგ შედგენილი, საბუთი იყოს, ვიფიქრებდით, მან ასეთ უფლებამოსილებას თავისი ნიჭითა და შეუპოვრობით მიაღწიაო, მაგრამ ეს ხდება 1634 წელს, ქართლში გადედოფლებისთანავე, და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მეფის უფლებამოსილებით (ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილით) აღჭურვა ქორწინებამდელი, წინასწარი შეთანხმების შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, მარიამ დადიანმა, რომელიც, თანადროული წყაროების მონაცემებით, სასტიკი წინააღმდეგი იყო მაჰმადიან, მოხუც მეფესთან ქორწინებისა, როცა მიხვდა, რომ თავის ძმის, ლევან დადიანის დაძალებას დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ქორწინების პირობად სახელმწიფოს მართვის საქმეში მეფის უფლებამოსილებათა ნაწილის გადმოცემა (ანუ თანამოსაყდრეობა) მოითხოვა, და როსტომ მეფემ, რომელსაც ლევან II დადიანთან პოლიტიკური მოკავშირეობა ტახტის შესანარჩუნებლად ჰაერივით სჭირდებოდა, სადედოფლოს ეს

საბიბლიოთეკო
0 6 0 3 6 17 0 0
ს ი ბ ბ ე ი თ მ ბ ა

მოთხოვნაც დააკმაყოფილა, (ეს მოთხოვნაცო ვაძბობ, რადგან, როგორც ჩანს მარიამ დადიანმა კიდევ ერთი მოთხოვნაც წამოუყენა, როსტომ მეფეს ქრისტიანული წესით შეუღლების სახით. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი მამადის რჯულზე ჭაბუკობისას გადასული 67 წლის მოხუც მეფის ხელახალი მონათვლისა თუ ვითომც მონათვლისა, ეკლესიაში თავის დაბანვის სახით).

მარიამ დედოფალი რომ ჩვეულებრივი დედოფალი არ იყო, რომ ის მართლაც თანამოსაყდრე იყო როსტომ მეფისა, მომდევნო ხანის საბუთებიდანაც ჩანს სავსებით გარკვევით. მაგრამ სანამ ამ დოკუმენტების გავეცნობით, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვა ვთქვა დედოფლის უფლებებზე XVII-XVIII საუკუნეთა საქართველოში.

ამ ხანის საქართველოში დედოფალს ჰქონდა თავისი „სადედოფლო“, მამულები, სასახლითა და კარის ეკლესიით, ჰყავდა ახლობი კომლი ყმა გლეხი. ჰქონდა თავისი მეურნეობა, ჰყავდა მებაჟეები. ყოველივე ამას დედოფალი განაგებდა თავისი სახლთუხუცესის („დედოფლის სახლთუხუცესი,“-ს) და მოხელეების (ხელოსნების) მეშვეობით. დედოფალი სრულიად დამოუკიდებლად მართავდა სადედოფლო მეურნეობას. მაგრამ ეს იყო და ეს, ამის იქით დედოფლის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა.

მეფე, როგორც უზენაესი ხელისუფალი თავისი მოქმედებისათვის, არავისგან იღებდა ნებართვას. დედოფალი კი, როცა მეფის უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, ამას აკეთებდა „ნებადართულობითა მეფისათა“, რაიც აუცილებლად აღინიშნებოდა დოკუმენტში.

მარიამ დედოფალი კი, როგორც უკვე ვნახეთ, და რაშიც ქვემოთ უფრო დავრწმუნდებით, საქმიანობს სამეფოს ნებისმიერ კუთხეში, დამოუკიდებლად, მეფისგან ყოველგვარი „ნებადართულობის“, გარეშე წყვეტს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდღა მეფის უფლებამოსილებაა.

ახლა კი გავეცნოთ მარიამ დედოფლის ხელიდან გამოსულ იმ დოკუმენტებს, რომლიდანაც ჩანს, რომ ის მეფის თანამოსაყდრე იყო.

ერთ უთარილო საბუთში, რომელიც ჩემის აზრით 1649-1651 წლებს შორისაა შედგენილი, ნათქვამია:

„ესე აუარებელი ფიცი, პირი და წიგნი საბოლოოდ გასათავებელი ვიბოძეთ ჩუენ, დედოფალთ-დედოფალმა, პატრონმან მარიამ, თქუენ ავალისშვილს ალავერდელს პატრონს არხენს, ძმასა თქუენსა ავალს, დათუნას, ქაიხოსროს, ღონენას, ასრე და ამა პირზე ზედა, რომე, თუ თქუენ ჩუენი

ერთგულნი, კარგის მდომნი ყმანი იყუნეთ, ჩუენზე არა სტყუოთ რა, ჩუენ ვიყუენით მართლად გულ-განწმენდით, თქვენთვის კარგნი და კარგის მდომნი და მოპატივენი, არც ტყუილად მტრის ენით შევიბუზღოთ, არც ვაგაზიანოთ, არც სიკუდილითა, არც დაჭვრითა და ტყვეობითა, არც სათათროს ტყუის გამოვითქვით, არც საავოდ და საძალოდ კაცს დავანებოთ და რაც წმინდას ვიორგის ალავერდის მამული თქუენ ბატონის თეიმურაზისაგან მოვბარებოდეს, იმისგან არცერთი კუამლი არ მოვიშალოთ. კიდევ, რაც თქვენს ძმებს მამულები პქონდეს, არც არა იმათ მოუშალოთ, (48. გვ. 548).

იმისათვის, რომ ამ დოკუმენტის შინაარსში უკეთ გავერკვათ, უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ იყო ალავერდელი ეპისკოპოსი არსენ ავალიშვილი და რატომ ეშინოდათ მას და მის ძმებს ქართლ-კახეთის ხელისუფალთა მხრიდან ღვენიისა და თვით მოკვდინებისაც კი.

არსენ ავალიშვილი XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ხაეკლესიო მოღვაწეა. 1630 წელს მას საფარის მონასტრის წინამძღვრად ვხედავთ (Hd-14678), შემდეგ ბოდბელ მთავარეპისკოპოსად (Hd-14687), და ბოლოს ალავერდელ ეპისკოპოსად. მას შემდეგ, რაც ტახტიდან ჩამოგდებული თეიმურაზ მეფე იმერეთში გადავიდა, მას სხვებთან ერთად გადაყვანენ არსენ ავალიშვილი და მისი ძმები, მაგრამ თუ რომელ წელს, ეს უკვე დასადაგენია. 1639 წლის 13 აგვისტოს ბერძნულად შედგენილ წერილში თეიმურაზ მეფე რუსეთის მეფე ალექსანდრეს წერდა: თქვენს მიერ ჩემთან გამოგზავნილი ელჩის დაღუპვის შესახებ „ალავერდის მონასტრის მირაპოლიტმა არსენიმ მიაგებო. სწორედ ეს არსენი მინდოდა თქვენი უდიდებულესობის წინაშე წარმოემგზავნაო ელჩად,“ (55. გვ. 33).

ამრიგად, ირკვევა, რომ ალავერდელი ეპისკოპოსი არსენ ავალიშვილი როსტომ მეფის (და ცხადაია, მარიამ დედოფლის) ტახტის მოცილის, მეფედყოფილ თეიმურაზის უახლოესი თანამებრძოლი და ერთგული ყოფილა. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა რომ მარიამ დედოფალი მას ფიცით პპირდება, თუ ჩვენი ერთგული იქნებით, არას გავნებთო.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მარიამი მეფისაგან დამოუკიდებლად ფიცით ახორციელებს მისი მეტოქის, ტახტის მოცილის უახლოესი თანამებრძოლის შემორიგების და მისთვის ალავერდის ეკლესიის კუთვნილი ყმა-მამულის, მისი ძმებისათვის კი მათი კუთვნილი ყმა-მამულების დამტკ-

* ტელში.

იცუბას, სახელმწიფოს მართვაში მის წონად წილზე უთითებს ის გარემოება, რომ თვითონ არსენ ავალიშვილი და მისი ძმები, როგორც სხვა საბუთებიდან ირკვევა, მარიამ დედოფალს მიიჩნევენ უფლებამოსილებად და შემძლებლად, თავისი დაპირების შესრულებისა. მათ არ ჰქონდათ შიშის იმისა, რომ როსტომ მეფე, როგორც ხელმწიფე, დაარღვევდა თავისი თანამეცხედრის მიერ მისგან დამოუკიდებლად მიცემულ დაპირებებს. ასეთი რამის შიში არსენ ალავერდელს და მის ძმებს არ ექნებოდათ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ მარიამ დადიანი მართლაც მეფის თანამოსაყრდე, მეფის უფლებებით აღჭურვილი დედოფალი იყო.

1653 წელს, მარიამ დედოფალი ასევე დამოუკიდებლად აძლევს ავალ ავალიშვილს (ძმას არსენ ავალიშვილისა), წყალობის წიგნს, რომელშიც ნათქვამია:

„მას ჟამსა ოდეს მოგუიდევით კარსა, მამულისა წყალობა გვიაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგვიწყალეთ და გვიბოძეთ კისისხევის ვარდიშვილი დათუნა მისის მამულითა...“ (48. გვ. 552).

აქ მოხსენებული „კარი“ არის არა დედოფლის კარი (ანუ სასახლე) არამედ სამეფო კარი. სამეფო კარისადმი თხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების უფლება კი მხოლოდ მეფეს აქვს. ამრიგად, მარიამ დედოფალი აქაც მეფის უფლებამოსილებით სარგებლობს.

ამ უკანასკნელი დოკუმენტის ბოლოში კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო რამაა ნათქვამი: „...არა მოგეშალოს არცა ჩვენგან და არცა სხვა ხ ელმწიფეთაგან,“-ო წერს მარიამი (48. გვ. 552).

აწ განსვენებულმა ახალგაზრდა მკვლევარმა დავით ფლენტმა მიაქცია პირველად ყურადღება ამ სიტყვებს: „როგორც ვხედავთ, ამ საბუთის მიხედვით მარიამ დედოფალი სრულიად აშკარად უტოლებსო თავს ხელმწიფეს,“-წერს ის (44. გვ. 103).

მე ამ ხედმიწევნით ზუსტ განმარტებას ვერაფერს დავამატებ. მარიამ დადიანი რომ მართლაც ნამდვილი თანამოსაყრდე იყო როსტომ მეფისა, ვველაზე თვალნათლივ ჩანს ირანის დიდვაზირთან მის მიერ 1658 წელს, როსტომის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიწერილი წერილიდან**

სხვათა შორის, 1655 წელს მარიამ დედოფალმა ამ ავალ ავალიშვილს უბოძა კისისხევის მორაობა (48. გვ. 553).

მარიამ დედოფლის წერილში მოხსენიებული „კვირ აზამი,“-ს მეორე სიტყვა აზამი ზოგ მკვლევარს ვაზირის სახელი ჰგონია. ვაზირ-ე აზამ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს დიდვაზირს (51. გვ. 180).

ხადაც პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებს: „მეფის როსტომის დროსაც ყვენის საქმესა და ერთგულობას მე მკითხავდა და ახლაც მოველი რომე, ჩემი უკითხავი აღარა იქნას რაო“ (44.გვ.108).

მარიამ დედოფლის ამ სიტყვებში ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ ის, რომ როსტომ მეფე სიცოცხლეშიც „ყაენის საქმესა და ერთგულებას“ (ე.ი. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს) მე მითანხმდებოდაო („მე მკითხავდა“-ო), არამედ ისიც, რომ მარიამ დედოფალი როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგაც არ აპირებდა ამ თავისი უფლებამოსილების დათმობას, და ამის შესახებ მოურიდებლად სწერს ირანის დიდგვზირს. მარიამ დედოფლის ამ სიტყვებში („ახლაც მოველი რომე, ჩემი უკითხავი აღარა იქნას რა,“), გამოკვეთილად ჩანს მისი, როგორც თავის პოლიტიკურ ძალაში დარწმუნებული პიროვნების სახე.

და ბოლოს, მარიამ დედოფლის ადგილის გასარკვევად ქართლის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანია იმ მოვლენების შეფასება, რომელიც მოჰყვა 1658 წელს როსტომ მეფის გარდაცვალებას. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი ქრონიკა „ცხოვრება საქართველოსა... ვვაუწყებს:

„ქრონიკონს: ტმზ: მეფე როსტომ მიიცივალა ტფილისს ქალაქსა. ტირილი აღარც დედოფალს დასცალდა, აღარც ქართველთა. საშვებად ერთი-ორი დღე იტირეს. როსტომ მეფე თათრებმა ციხეში შეიტანეს, იქიდან ყუმს გაგზავნეს დასამარხათ. ჯემაღ ხან უწინვე აქ მოსულიყო და დედოფალს ყაენის რაყამი შემოუგზავნა: „ხელწიფის ბრძანება არისო“, ციხეში შეიყვანა და ყაენთან უნდოდათ წაყვანა“ (72.გვ.109) მაგრამ მარიამ დედოფალი არ გაჰყვა. მან შაჰთან საჩუქრებით(ძღვენითა და ოქროვერცხლით) დატვირთული პაპუნა ციციშვილი აფრინა დესპანად(69.გვ.313) და ირანის ხელმწიფეს როსტომ მეფის გარდაცვალება აუწყა. ამასთან, როგორც ირკვევა, შაჰს წერილიც მისწერა. თუ რას თხოვდა მარიამ დედოფალი ირანის შაჰ აბას II-ს პაპუნა ციციშვილის ხელით გაგზავნილ წერილში, კარგად ჩანს დიდგვზირისადმი როსტომ მეფის გარდაცვალებისათანვე, 1658 წელს მიწერილი წერილიდან. მარიამი თურმე

* ეს საბუთი, რომლის ორივე პირი პარიზში, საფრანგეთის, ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული (R-36086), პირველად დიდმა მამულიშვილმა, შესანიშნავმა დიპლომატმა და ბრწყინვალე მეცნიერმა ზურაბ ავალიშვილმა გამოაქვეყნა (2-გვ.126-132), ახლახან კი აწვანსენებულმა დავით ელენტმა (44.გვ.167-168).

შაჰნავაზ მეფის (ვახტანგ V-ის) დედობის ბოძებას ითხოვდა, ე. ი. სურდა დარჩენილიყო სადედოფლო ტახტზე, როგორც დედა („დედობა გვიბრძანონ და ჩვენი არზა ხელმწიფეს წაუკითხონ და ჩემს აოხრებულს სამშობლოს მოეხმაროსო, - წერდა მარიამ დიდუხიზის).

„პაჰუნა სარდალი ადრე მოსულიყო, ყაენს სწეწნოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიად ბევრი დედაკაცობა უამბო ... როსტომ მეფემ თავისი საბატონო ცოცხალმაც იმას მისცაო და ანდერძითაც მუხრანის ბატონს უანდერძაო, - წერს „ცხოვრება საქართველოსა,“-ს უცნობი შემდგენელი (72.გვ.109).

თვითონ მარიამ დედოფალი დიდვაზირს 1658 წელსვე წერდა: როცა როსტომ მეფე გარდაიცვალა, ჩვენი მხლებლებით და დარბაისლებით ციხეში შევედი, ყაენის წყალობის მლოდნელი ვიყავიო“, თქვენი და როსტომ მეფის მეგობრობის („ერთგულების და ვალდებულების,) ამბავი ვიცოდი და თქვენი იმედი მქონდაო. ამასთან, აცნობებდა, რომ როსტომ მეფის გარდაცვალების გამო „მრავალს კაცს გული გასცუდებოდა“, მაგრამ ჩვენი იმედი დიდი ჰქონდათო (44.გვ.107-108)

მარიამ დედოფალს იმედი ჰქონდა, რომ შაჰი მის თხოვნას დააკმაყოფილებდა და დატოვებდა ქართლის დედოფლად მეფის უფლებით, მაგრამ ცოტა ხანში საფარვერდიბეგს მისთვის რაყამი (წყალობის სიგელი) ჩამოუტანია, რომლითაც ქართლის მეფედ შაჰნავაზი (ვახტანგ V) იყო დამტკიცებული. შაჰის ბრძანებით შაჰნავაზს მარიამ დედოფალი ცოლად უნდა შეერთო. ამ გზით მარიამი სადედოფლო ტახტს ინარჩუნებდა. („ხელმწიფეს დედოფლობა ჩვენთვის და ჩვენი თავი შაჰნავაზ მეფისათვის ებოძათო,“- წერს მარიამი).

შეუძლებელია შაჰ-აბასი II-ის ამ მკრეხელურ ბრძანებას მარიამ დედოფალი არ შეეძრწუნებინა. მისთვის, როგორც უაღრესად მორწმუნე, ღვთისმოსავი ქრისტიანისათვის, ნაშვილების ცოლობაზე დათანხმება აუხსნადი ცოდვის ტოლი იყო (1654 წელს, ხომ უშვილო როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა შაჰის მიერ აწ უკვე შაჰნავაზად სახელდებული, ვახტანგ მუხრან-ბატონი იშვილეს, რათა მისი სახით ტახტის მემკვიდრე ჰყოლოდათ), მაგრამ სათნო და კდემამოსილ მარიამ დედოფალს ზნეობრივად მიუღებელი, მაგრამ სამშობლოს უმალესი ინტერესებიდან გამომდინარე ამ აუცილებელი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა მოუხდა (დაიხ, პოლიტიკური და არა ყოფითი ნაბიჯისა).

ის დათანხმდა.

„მეფე როსტომს უკან, (როსტომის გარდაცვალების შემდეგ) მე კაპებით შემოსილს მეუღლე უნდა მეგლოვაო, მაგრამ „თუ ეს არ გეცნა“, (ე.ი. შაჰშაჰავანის ცოლობაზე რომ არ დავთანხმებულებიყავი და დედოფალი არ შემენარჩუნებინა): „ხელმწიფე გაგვიწყობოდა და ქვეყნის მოხელეებს აობრებას უფრო ბევრი ცოდვა და დასამარცხი საქმე მოსდევდაო,“ - არწმუნებს მარიამ დიდვაზირს (44.გვ. 108).

აქედან ცხადი ხდება, რომ მარიამ დადიანისათვის სადედოფლო ტახტის შენარჩუნება შაჰის მიზანიც ყოფილა (უარი რომ მეთქვა „ხელმწიფე გაგვიწყობოდაო,“ - ამბობს მარიამი) და თავად მარიამის სურვილიც.

მარიამ დედოფალი უადრესად მოქნილი პოლიტიკოსი და დახვეწილი დიპლომატი იყო. თეიმურაზ I-ისა და მის მომხრეთა რადიკალიზმი ირანთან ურთიერთობის საკითხში საქართველოსათვის მიუღებლად მიაჩნდა, რადგან მან კახეთი და ნაწილობრივ ქართლიც განადგურების პირას მიიყვანა. პატარა ქართლ-კახეთს სპარსელ დამპყრობთა განდევნა-მოგერიება იმხანად ხმლით არ შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ირანი აწრდილიდა იყო შაჰ-აბას დიდის დროინდელი ძლევამოსილი სპარსეთის სახელმწიფოსი, მას მაინც შესწევდა ძალა ჩვენი პატარა და სისხლისაგან დაცლილი ქვეყნის აობრება-განადგურებისა და ურჩობისათვის უსასტიკესად დასჯისა. ასეთ ვითარებაში მარიამს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ირანის შაჰის მოჩვენებითი ყმადნაფიცობის და მორჩილების გზით მეტნაკლები მშვიდობიანობის მიღწევა, რაც საშუალებას იძლეოდა ქვეყნის იავარქმნილი მეურნეობის აღდგენისა, მოსახლეობის მომრავლებისა, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებისა, ქრისტიანული ეკლესიის მომაგრება-გაძლიერებით, ქრისტიანული სარწმუნოების, როგორც ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ზნეობრივი საყრდენის განმტკიცებისა და აღორძინების გზაზე მდგარი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობისა.

მხოლოდ ამგვარი, მოქნილი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას შეეძლო, ეხსნა საქართველო მოსალოდნელი დაღუპვისაგან. ეს პოლიტიკური ხაზი, რომლის შემუშავებაშიც როსტომ მეფესთან ერთად ლომის წილი მარიამ დედოფალსაც ედო, ირანისათვის მისაღები იყო, რადგან თავის გავლენას (გარკვეულწილად თავის ხელისუფლებას) ქართლ-კახეთზე ინარჩუნებდა.

ქართველ ხელისუფალთა ამგვარი, კომპრომისული პოლიტიკის აუცილებლობას კარგად ხედავდნენ იმ ხანად ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები უაღრესად განათლებული და დაკვირვებული იტალიელი მისიონერები. აი, რას წერს ერთერთი მათგანი, დიონიჯო კარლი, რომელიც XVII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ცხოვრობდა ქართლში. „მეფე, რომელიც საქართველოს ამ კუთხეს მართავს, დაბადებით ქართველია, მაგრამ სპარსული სარწმუნეობის აღმსარებელია. თუმცა ისიც ხდება ხოლმე, რომ ზოგი (მეფე) უარს ამბობს, აღიაროს მაჰმადიანთა სარწმუნეობა. მაშინ სპარსეთის მეფე მის ადგილზე ავზავნის ხანს. ხანი ხელმწიფის მოადგილეს ეწოდება. მსგავსი რამ თუ აქაც მოხდა, შეიძლება იმდენად სახიფათო აღმოჩნდეს, რომ მთლიანად წარიხოცოს ქრისტიანობა,“ (24.გვ.162).

ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკურ ნიჭიერებას და დახვეწილობას დიონიჯო კარლი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, როცა წერს: „ქართველები ისეთი ოსტატური და დახვეწილი პოლიტიკით მართავენ თავიანთ ქვეყანას, რომ თვით მაკიაველიც კი თავს ვერ გაართმევდაო,“ (24.გვ.167).

მეფის უფლებამოსილებებით აღჭურვილი მარიამ დადიანისათვის ქართლის სადედოფლო ტახტის შენარჩუნება შაჰ-აბას II -ს კი სურდა იმის გამო, რომ როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართლში, ამ თავის ყმადნაფიც სამეფოში პოლიტიკური სიმშვიდე ყოფილიყო, რისი უზრუნველყოფაც ამ დროს თვისი უზარმაზარი გავლენითა და თანახელწიფის უფლებამოსილებებით იმთავითვე აღჭურვილ მარიამ დედოფალს იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ სადედოფლო ტახტი მისი იქნებოდა. არადა ზაალ არაგვის ერისთავი (1635-1660), ეს უდრეკი თანამებრძოლი თეიმურაზ მეფისა, ვახტანგ მუხრან-ბატონს მტრობდა და ამ უკანასკნელის გამეფების შემთხვევაში უეჭველად უკუდგებოდა. ეს კი „აშლასა და აოხრებას,“ გამოიწვევდა ქართლის სამეფოსი, სადაც აკერ უკვე ათი წელი იყო სიმშვიდე სუფევდა.

ამრიგად, როგორც ირკვევა, მარიამ დადიანისათვის შაჰის მიერ ქართლის სამეფოს ტახტის შენარჩუნება ნაკარნახავი იყო არა მარტო მისი უზარმაზარი პატივმოსილებით მთელს საქართველოში, არამედ უწინარესად იმით, რომ მარიამ დადიანი ჩვეულებრივ დედოფალთაგან განსხვავებით იმთავითვე თანახელმწიფე, თანამოსაყდრე იყო მეფისა და ის, როგორც სამეფო ტახტის მემკვიდრეობით თანამოზიარე (და არა როგორც უბრალოდ მეფის თანამეცხედრე) მომავალშიც იმ პოლიტიკის განუხრელად

განხორციელების წინადაც იქნებოდა, რომელიც მისაღები იყო როგორც თა-
ნისათვის, ისე ქართლ-კახეთისათვის.



4. სამეფოს მეურნეობის აღდგენა-აღორძინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ მეფის ზეობის ხანაში (განსაკუთრებით 1648 წლის შემდეგ, როცა როსტომ მეფემ საბოლოოდ დაამარცხა ტახტის მოცილე და დაუდგარი პეტოქე თეიმურაზ I), ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობას ეღირსა. მოსახლეობამ მოძრავლება იწყო. მთებს შეხიზნული ქართველნი ბარად დაეშვნენ. „დაიწყეს აშენება, ხვნა, თესვა“ (ფ.გორგიჯანიძე).

ქართლში გახელმწიფების შემდეგ როსტომ მეფეში, როგორც ჩანს, მშობლიურმა მიწამ იყიელა. ამას ირანის შაჰისაგან მეტი დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილიც დაერთო ზედ და ის ხოსრო-მირზად წოდებული როსტომი, რომელიც 1624 წელს მარაბდის ბრძოლაში თავს არ ზოგავდა ქართველთა მოსისხლე მტრის შაჰ-აბას დიდის გამარჯვებისათვის (14.გვ.134), გადაიქცა მეფედ, რომელმაც საქართველოში ახალი ქალაქების დაარსებას, ხიდებისა და ქარვასლების მშენებლობას, ვაჭრობისა და ხელოსნობის ყოველნაირად წახალისებას, გუთნისდედების სახნავ-სათესებისკენ მიბრუნებისათვის ხელშეწყობას მიჰყო ხელი.

მარიამ დედოფალს კარგად ესმოდა ქვეყნის იავარქმნილი მეურნეობის აღდგენის, საქალაქო ცხოვრების (ვაჭრობა-ხელოსნობის) აღორძინების სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩვენი ერის გადარჩენის საქმეში. ამიტომ ხალხით ამოუდგა მხარში როსტომ მეფეს, რომელიც ამისათვის არათუ სახელმწიფო ხაზინას, საკუთარ სახსრებსაც არ იშურებდა.

თემისპირა ახალქალაქის (ქართლის ახალქალაქის) სომხური ეკლესიის ქართულ მხედრულ წარწერაში ნათქვამია: „მას უამსა, ოდეს იჯდა ერან-თურანსა ბედნიერი ყაენი ხელმწიფე შაჰ-სეფი... სახელითა ღუთისათა, ჩუენ საქართველოს ხელმწიფის შუილმან, მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან

როსტომ მეფის პირად (და არა სახელმწიფო) შემოსავალს შეადგენდა არა მარტო სახასო ყმა-მამულეებიდან მიღებული გადასახადი, არამედ იმ მამულეებიდანაც, რომლებიც მას შაჰისაგან ჰქონდა ირანში ბოძებული. აქ მას ხუთასი ათასი კომლი ეკუთვნოდა. მარტო გილანიდან როსტომ მეფეს 300 თუმანი შემოსდიოდა. მას ეკუთვნოდა წილი ფუშტუქესა და ზენის შემოსავლიდანაც (10. გვ. 260) გარდა ამისა როსტომ მეფე, როგორც ირანის სახელმწიფოს იმდროინდელი დედაქალაქის ისპაჰანის ტარუდა, ამ სახელოს სარგოსაც იღებდა ყოველწლიურაბ.

მარიამ ხელვეავით აღშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფისქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი... ქალაქისა ამის მკუიდრებისათვის მეფისქალაქელთა სომეხთა, ჩუენთა სახასოთა ვაჭართა. ქს :ტ... თუესა აპრილსა კდ„ (83.გვ.27). პლ.იოსელიანი, რომელმაც 1850 წელს გამოაქვეყნა ეს წარწერა, მისი ბოლოკიდური ნაწილი, სადაც თარიღია მითითებული, სრულად ვეღარ ამოუკითხავს, წარწერის ამ ნაწილის განსზვავებული და უფრო სრულ წაკითხვას იძლევა გურამ მაისურაძე თავის 1982 წელს გამოცემულ წიგნში. აქ მითითებული თარიღი-ქრონიკონი. ტკი (ანუ 330), რომელიც 1642 წელს შეესაბამება (32.გვ.167), მაგრამ არ ვიცი, რამდენად სანდოა ამ წარწერის თარიღის გ.მაისურაძისეული წაკითხვა, რადგან ჯონდო გვასალიაც, პლ.იოსელიანის მსგავსად, ათეულისა და ერთეულის აღნიშვნელი ასოების ადგილს სამი წერტილითა და კითხვის ნიშნით აღნიშნავს (15.გვ.162).

საყურადღებოა ზემოთხსენებული წარწერის ქვეშ მოთავსებული მეორე წარწერაც, საიდანაც ირკვევა, რომ ამ ახალი ქალაქის დაარსება-აშენება მეფე-დედოფლისათვის ურჩევია მდივანმწიგნობარ მერაბ ყორღანაშვილს („გვაგონა და მოგვახსენა ქალაქთა და საყდრისა ამის აშენებაო, -ნათქვამია წარწერაში). როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა მავანთა და მავანთა დარად კი არ იუკადრისეს ყმისაგან მიღებული რჩევა, არამედ წარწერაშიც კი საგანგებოდ აღნიშნეს იმ ყმის ღვაწლი ქვეყნისათვის ამ სამური საქმის წამოწყება-განხორციელების საქმეში. მეტიც გამოიჩინეს ადამიანის ხასიათში წვდომის იშვიათი უნარი და თვითონ მერაბ ყორღანაშვილს უბრძანეს მის მიერვე მოფიქრებული საქმის განხორციელება. („ის ვაღვაწეთო, -ამბობენ მეფე-დედოფალი ამ წარწერაში). საქმეს ხომ სწორედ ის აბამს უკეთ თავს და ის უძღვება მის ზორცშესხმას მეტი კეთილსინდისიერებით, ვისაც პირველად მოუდის აზრად ამ საქმის განხორციელების აუცილებლობა.

მერაბ ყორღანაშვილი ქვეყნის მეურნეობის აღდგენის მხურვალე მონაწილე ჩანს. მან „ნაოხარად,“ და „ნასოფლარად,“ ქცეული სოფელი ზემოშაენიც აღადგინა და აქ გლეხები დაასახლა. არადა ეს სოფელი უკვე „ტყედ ქცეულიყო,“ (64.გვ.113-115).

1644 წელს მერაბ ყორღანაშვილმა გერმანოზშვილების „ნაოხარი,“ მამულიც აღადგინა ენაგეთში და გლეხები დაასახლა. როსტომ მეფემ ოღონდაც ფეხზე დადგესო ეს სოფელი და აქ ჩასახლებული გლეხები გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან (99.სახუთი 2).

ოღონდაც ვინმეს ჰქონოდა უამთა ვითარებისაგან გაუკაცრიელებული ნასოფლარების აღდგენა-დასახლების სურვილი და როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი სამკვიდროდ უბოძებდნენ ამ სოფლებს. ბიძინა სოლოლაძემ იღვწის... იღვწის... რათა გააშენოს და გაამშვენიეროს, -წერენ ისინი ერთერთ წყალობის წიგნში (64.გვ.254-257).

როსტომ მეფეს და მარიამ დედოფალს სამეფოს მეურნეობის აღდგენის, აყრილ-გაუკაცრიელებული სოფლების ხელახალი აშენება-დასახლების საქმეში გვერდში არაერთი მამულიშვილი ამოუდგა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან ყაფლან ორბელიანი, პაპუა მალალაძე და ვახტანგ მუხრან-ბატონი.

ყაფლან ორბელიანს, პაპას სულხან-საბა ბრძინისა, 1627-1671 წლებში 61 სოფელი უშენებია (76.გვ.101).

პაპუა მალალაძემ კი ქართლსა და კახეთში 12 უკაცრიელი სოფელი ააშენა და დაასახლა. გაიყვანა სარწყავი რუები. გააშენა ზვრები, აავო სასახლეები, მარნები (76.გვ.101)

1637 წელს ვახტანგ მუხრან-ბატონმა (1628-1658) და მისმა ძმებმა სამუხრანოში „დიდი ხნის ნაოხარი,“ ორი სოფელი, მისაქციელი და თეკენა აღადგინეს და გლეხებით დაასახლეს, რისთვისაც გადასახადების ამკრებთ ებრძანათ, არაფერი მოეთხოვათ აქ დასახლებულ გლეხებისათვის (64.გვ.136-137).

როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი, რომელთაც კარგათ ესმოდათ რწყვის განუზომლად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ძალისხმევას არ იშურებდნენ ძველი რუ-არხების აღდგენისა და ახალთა გაყვანისათვის. ირკვევა, რომ როსტომ მეფე ხშირად უშუალოდ ხელმძღვანელობდა ახალი სარწყავი რუ-არხების დაგეგმარებასა და გაყვანას. „...თვითონ მობრძანებულყო, რუ და სათავე მოესაზრა, ქვეყნისათვის მუშა შეეწირა, დიდის ღიახვიდამ და პატარა ღიახვიდამ ორითგანვე სათავე აეღო და წყარო წამოეყვანა და რუდ შეეყარაო,“ -ნათქვამია როსტომ მეფეზე ერთერთ საბუთში (Sd-858).

სამეფოში ვაჭრობის აღორძინებას გზების სიცუდესთან და ქარვასლების ნაკლებობასთან ერთად ხელს უშლიდა მებაჟეთა სიხარბე, საბაჟოებში დასადგურებელი სრული განუკითხაობა. როსტომ მეფის სიტყვით, მებაჟენი „უდიერს საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი იხარჯებოდეს,“ (59.გვ.216). ამიტომ 1639 წელს როსტომ მეფემ გამო-

სცა დიდი მნიშვნელობის მქონე კანონი („ყანუნ-ლამა“), რომლითაც დააწესა ბაჟის განსაზღვრელი ზომა სხვადასხვა სახის საქონელზე (59.გვ.216-217).

ვაჭრობის განვითარების წახალისებას ისახავდა მიზნად როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის მიერ 60 თუმანზე ნაკლები საერთო ღირებულების საქონელზე ბაჟის არგადახდევინების შესახებ სიგელების გაცემა. მაგალითად, 1649 წელს ვაჭრებს, თუმანიან-მამუკაშვილებს მათ უბოძეს სიგელი, რომელშიც ნათქვამია: „სითარხნეს დაგუეაჯენით, ჩუენ ვისძინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ასრე გათარხნეთ, რომე სამოცის თუმნისა რაგინდარა სავაჭრო მოქალაქემ თქვენმა ყმებმან ამგზავროს ჩუენს საბატონოში არა ქალაქს, არა გორს, და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოებოდეს ამ საქმითა, რომ სხუის კაცის საქონელი არ იმისნოს ამ სამოც თუმანს გარდაისად და არც ამისგან ნამეტნავი არონინოს,“ (48.გვ.546).

მარიამ დედოფალი, ეს უაღრესად სათნო და სანდომიანი ქალი, როცა საქმე სახელმწიფო საქმეს ეხებოდა, მკაცრი და მომთხროვნი იყო. ერთ უთარილო ბრძანებაში ნათქვამია: „დედოფალი მარიამ ვიბრძანებ ჩვენო მებაჟენო: და ვინ გინდა იყუნეთ, ან ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ! მერმე ბატონის თბილელის ყმებს ამასწინათ ბაჟი არ ართმევია და ნურც თქუენ ართმევთ, ნურც ქალაქს, ნურც მცხეთას, ნურც გორს, ნურც ცხინვალს, ნურც ალს, სადა გინდა ჩუენს საყმოში მოვიდეს ამათხედ ბაჟის საქმეხედ ხელს ნურვინ დაიდებთ... თორემ ჩუენად შეცოდებად მოვკითხავთ,“ (47. გვ. 441).

მოხელეებს-პაატა შატბერაშვილს და თანია შანაშვილს მარიამ დედოფლის ბრძანება არ შესრულებიათ. თურმე ვინმე მირაღას და დოღმაზას მათ მიერ ნაყიდი მიწის დამუშავების უფლებას არ აძლევდნენ. მათ მარიამ დედოფალი გამოქომაგებია, მაგრამ მოხელეებს თავისი არ მოუშლიათ. ამით აღშფოთებულ მარიამ დედოფალს თავხედი მოხელეებისათვის მიუწერია: „მერე ამას წინათ წიგნი მოგწერეთ და არ დაგინებებიათ. თამთას წყაროს ნასყიდი მიწა კქონოდათ და ნასყიდობის წიგნიც ხელთა აქვს. ჩვენის წიგნის გაცულება, არ ვეჭობ, რომ თქვენ კარგად მოგივიდეს. აწ, რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს, ამ მირაღასთან და დოღმაზასთან ხელი ნუ გაქვსთ, თავისთვის მოხნან, ამისათვის გვიბოძებია და თუ რამე სალაპარაკო საქმე გქონდესთ, ამ ჩვენს კარხედ იუბნეთო,“ (48. გვ. 535).

ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისაკენ მიმართული პოლიტიკა თუ მეტი არა, არანაკლები გულმღღვინებით ხორციელდებოდა ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) ზეობის ხანაშიც, რომელსაც, ისევე როგორც როსტომ მეფეს,

ამ საქმეში ისევ და ისევ მარიამ დედოფალი ჰყავდა ერთგულ შემწედ და საქმისთვის თავის მომბძებლად.

ქართლის ხელისუფალთა მედგარმა და თანმიმდევრულმა მოღვაწეობამ ქვეყნის მეურნეობის აღდგენის საქმეში ^{მთელი} გამოიღო უამრავი „ნაოხარი“ „უშენი“ „პარტახტი“ ადგილებისა და გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა-დასახლებამ, ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობამ, ახალი ქალაქების დაარსებამ, ძველი სარწყავი არხების აღდგენამ და ახლების გაყვანამ გამოიწვია ქალაქების ზრდა, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება, და რაც მთავარია, მიწათმოქმედების აყვავება. 1681-1682 წლებში ქართლში ნამყოფი იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი თავის 1687 წელს გამოცემულ წიგნში წერდა, რომ ქართლში „მიწები კარგადაა დამუშავებული და უხვ მოსავალსაც იძლევა. ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ყველაფერი იაფია,“ (24.გვ.159)

5. მარიამ დედოფალი-ქრისტიანული ეკლესიის მოამავე



ყველა იმ სიკეთესთან ერთად რაც გამაჰმადიანებული როსტომ მეფის და მისი თანამეცხედრის მარიამ დედოფლის მიერ შემუშავებული და განხორციელებული ირანის შაჰისადმი მოწვევებითი ერთგულების პოლიტიკას მოჰყვა, სამეფოში მეტნაკლები მშვიდობის დამყარებისა და საშინლად მოშლილი მეურნეობის აღდგენის სახით, ერთობ საშიში ხასიათი მიიღო სპარსული ენის, ზნე-ჩვეულებებისა და მაჰმადიანური სარწმუნეობის მოძალებამ ქართველ დიდებულთა (და ზოგჯერ არადიდებულთა) შორის. ქართველი მემატიანის სიტყვით „მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება... „მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა„ (58.გვ.424-425).

აი, ასეთ ვითარებაში მოუხდა მარიამ დედოფალს ქართლში მოღვაწეობა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ერისა და ენისათვის მოვლენების ესოდენ საშიშ განვითარებას, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდად ანელებდა... მარიამ დედოფალის ქრისტიანთ მოსარჩლეობა...“ (9.გვ.262).

ქართლში გადადოფლებისთანავე მარიამი სათავეში ჩაუდგა ქრისტიანული სარწმუნეობის განმტკიცებისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინების საქმეს.

ქრისტიანობა ჩვენი ერისათვის ქართველობასაც ნიშნავდა და ამდენად, ქრისტიანული სარწმუნეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ქართველობისათვის, ქართული ენისათვის ბრძოლის ტოლფასი იყო. ამიტომაც, მარიამ დედოფლის „ქრისტიანთ მოსარჩლეობა...“ მამულიშვილური მოღვაწეობის ბრწყინვალე მაგალითაგანია ჩვენი ერის ისტორიაში.

მარიამ დედოფალი სახსრებს აღარ იშურებდა ეკლესია-მონასტრების აღსადგენად, მათი სამეურნეო ძლიერების უზრუნველსაყოფად, მტრის მიერ გატაცებულ ხატთა, ჯვართა, ომფორ-ოღართა, ხელნაწერ წიგნთა დასახსნელად და გამოსასყიდად, ახალი საეკლესიო თუ საერო წიგნების გადასანუსხავად. მისი ბრძანებითა და საფასითაა აღდგენილი, განახლებული, აშენებული და შემკული აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ტაძარი.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ როსტომ მეფესთან დაქორწინებაზე თანხმობის სანაცვლოდ, როგორც წყაროების ანალიზი გვაფიქრებინებს, მარიამ დადიანმა თანამოსაყდრეობის უფლება მოითხოვა და მარიამ დადიანი, როცა, მეფის თანამოსაყდრეობის უფლებას მოითხოვდა, მარიამ დადიანი, როგორც მისი შემოდგომის მოღვაწეობიდან ჩანს, მიზნად ისახავდა ამ უფლების გამოყენებას ქვეყნის საკეთილდღეოდ, კერძოდ ქრისტიანობის, როგორც ქართველობის შენარჩუნებისათვის მძლავრი საყრდენის მოღონიერებისა და აღორძინებისათვის ბრძოლაში, ქვეყნის იავარქმნილი მეურნეობის აღდგენა-აყვავების საქმეში, და რაც მთავარია, გონივრული, შორსმჭვრეტელო პოლიტიკით ქართლ-კახეთის გადარჩენას, ირანის მხრიდან მოსალოდნელი განადგურებისაგან.

მარიამ დედოფალი ქრისტიანობის დაცვა-ხელშეწყობის საქმეში იმდენათ ურყევი იყო, რომ მისი მაჰმადიანი მეუღლე -მეფე როსტომიც კი ქრისტიანული ეკლესიის ქომაგად, მის შემწედ და ხელის გამმართავად გვევლინება.

1637 წელს როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა გადასახადებისაგან გაათავისუფლეს „წმინდის გიორგის ღვკანოზი ათანელი,, (47. გვ. 32). 1645 წელს მათ „იტრიას სიონის ღვთისმშობელს და მას შინა დამყარებულსა ხატსა მიძინებისა,, შესწირეს „ხურამს ზეით ჩუმათელიძეები,, (48. გვ. 130).

1650 წელს როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის კუთვნილი სოფელი დირბი გაათავისუფლეს „ყოვლის სათხოვარისა და გამოსავლისაგან,, და სამაგიეროდ „საიერუსალიმოდ,, 6000 თეთრის ყოველწლიური გადახდა დააკისრეს (20. გვ. 34-35).

1651 წელს როსტომ მეფის თაოსნობით აღადგინეს დავით გარეჯის უდაბნოს რამდენიმე დანგრეული ნაგებობა (85. გვ. 90).

1651 წელს როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა ზაქარია რუსთველს განუახლეს „წმინდის სამების მამულის წიგნი,, რომელშიც ნათქვამია, რომ „არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები თქუენის საყდრის ყმას არ ეთხოვებოდეს რა ერთის ლაშქარ-ნადირობის მეტიო,, (59. გვ. 220).

ამავე ხანებში როსტომ მეფის ხელშეწყობითა და დახმარებით მარიამ დედოფალმა თეძმის პირას „აღაშენა საყდარნი,, (85. გვ. 91).

მეტიც, საეკლესიო ქონების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით როსტომ მეფემ 1642 წელს მიაღწია ეკლესიის კუთვნილი მამულების



მარიამ დადიანი და მცირეწლოვანი ოგია გურიელი.
მარგვილის ტაძრის ფრესკა (აღდგენილი პირი ნინო კიკოვანისა).
ზუგდიდის მუზეუმი.



გიორგი ლიპარიგიანი - დედოფალ მარიამ დადიანის გამშრდელი ბიძა.
წალენჯიხის გაძრის ურესკა.



დედოფალ მარიამ დადიანის პორტრეტი, შესრულებული სვეტიცხოვლის
ურესკიდან გრიგორი ვაგარინის (1810 - 1893) მიერ.



ქრისტოფორო დე კასტელი (1597 - 1659).
ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის პორტრეტი.



ქართული
ენობათმცოდნეობის
ინსტიტუტი



მარიამ დადიანი (ვათხოვებამდე). წალენჯიხის გაძრის ფრესკა.
მე-17 საუკუნის 20-იანი წლები.



დელოფალ მარიამ დადიანის ფრესკა იერუსალიმის ქართველთა ჯერის
მონასტრიდან, გადმოხატული 1845 წელს ნიკო
ჩუბინიშვილის (1788 - 1845) მიერ.




როსტომ მეფე (1632 - 1658).



TIFLIS
Capitale de Georgie



ურანგი შაბგვარი ობრიე (1651 - 1743).
თბილისის ხედი. 1701 წ.



ურანგი შაბგვარი ობრიე (1651 - 1743).
ნადიმი შეუე ვახტანგ V-ის სახახლეში.



ქრისტოფორო დე კასელი (1597 - 1659).
ოდიშის ცხვირწაჭრილი დედოფალი თანურია შარვაშიძე.



ქრისტოფორო დე კასელი (1597 - 1659).
ლევან II დადიანის სასახლე შუგდიდში.



სვიმონ გურიელი.



ვახუშტი III დადიანი



მალაქია გურიელი.



მუჟე აზიზი II



მარიამ დედოფლის შვილის ოგია გურიელის პორტრეტი, შესრულებული
გრიგორი ვაგარინის (1810 - 1893) მიერ სვეტიცხოელის ფრესკიდან.



ქართული
ენობათმცოდნეობის
ინსტიტუტი



ქრისტეულო და კახელი (1597 - 1659).
მარიამ დადიანის პორტრეტი.

უკლებლივ ეკლესისათვის გადაცემის შესახებ თავისი ბრძანების დამტკიცებას ირანის ხელმწიფის, შაჰ-სეფის მიერ (75. გვ. 10).

მაჰმადიანი მეფის, როსტომის ესოდენ მზრუნველ დამოკიდებულებას ქრისტიანობისადმი, უმაღლე მარიამ დედოფლის გავლენით მასში მომხდარი პროვინულ-სარწმუნოებრივი შემობრუნების ანარეკლი შეიძლება დავინახოთ, ვიდრე პოლიტიკური გარემოებით ნაკარნახევი ნაბიჯები. ეს კარგად ჩანს შეწირულობის წიგნიდან სვეტიცხოვლისადმი, რომელსაც თარიღად 1645 წელი უზის.

აი, ჩვენთვის საჭირო ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან:

„ ჩვენ მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ... ვიგულეთ და ვიძგულსმოღვინეთ, კვადრეთ და მოგახსენეთ თქუენ ცათა მობაძავსა საყდარსა სუეტსა ცხოველსა... მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისაგან სამცხიდამ აწყურისა მღვთისმშობლის საყმო აზნაურისშვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყვნეს და ღოღეთს დაესახლებინათ და რაც ხატი და ჯვარი ყოფილიყო, თქუენს ტაძარში დაესვენებინათ და სამაწყურლოს კაცს თქუენთუის ემსახურათ და სხვას კაცს, არც ამირეჯიბის ნათესავსა და არც აგრე რივს ვისმეს, ღალის მეტს საქმეზედ ღოღეთს ხელი ჰქონდეს და ამ წესით ემსახუროს. ვინ იცის და ამ სოფლის საქმე ასრე მოხდეს, რომე საათაბაგიშვილოს ქრისტიანი მეპატრონე გაუჩნდეს და აწყურის მღვთისმშობლის ჯუარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მიახვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ დაიჭიროს, თუ არა სხვას კაცს ხელი არა ჰქონდეს, (20. გვ. 29; 59. გვ. 217).

ამ დოკუმენტში უაღრესად თვალში საცემია არა ის გარემოება, რომ მაჰმადიანი მეფე როსტომი თავის ქრისტიან თანამეცხედრე მარიამ დედოფალთან ერთად მონაწილეობს სვეტიცხოვლის ტაძრისათვის-ხიზანი აზნაურიშვილებისა და გლეხების შეწირვაში (ამის მაგალითებს ზემოთ უკვე გავეცანით), არამედ ის, რომ ოსმალთა უღლისაგან სამცხის (საათაბაგოს) გათავისუფლების შემთხვევაში მაჰმადიანთა საბრძანებლად ქცეული ამ ქართული ქვეყნის ერთერთ კანონიერ მფლობელად „ქრისტიანე მეპატრონე“, რომაა დასახლებული. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამ საბუთში საკმაოდ დიადაა გაცხადებული ჩალმიანი როსტომ მეფის გულისნადები. ქართლში გახელმწიფების შემდეგ, როგორც ჩანს, მასში მშობლიურმა სისხლმა იყივლა, რისთვისაც ცხადია, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა მეუღლის-მარიამ დედოფლის ქრისტიანული ღვთისმოსაობა. ცხადია, ყოველივე

ზემოთ თქმულის შემდეგ სულაც არაა გასაკვირი ის გარემოება, რომ როსტომ მეფემ ახალი სასახლე აიშენა არა მაჰმადიანებით დასახლებულ ტფილისის დიდ ციხეში, სადაც ცხადია, მისთვის, როგორც მაჰმადიანობის ესოდენ აუცილებელი მიზვითიც იყო, არამედ ქართულ უბანში, ანჩისხატსა და სიონს შორის, მტკვრის პირას.

მართალია ქრისტიანული ეკლესიებისათვის ყმა-მამულების ბოძების, მათი სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლების, ძველი ტაძრების აღდგენა განახლებისა და ახალთა აშენების საქმეში მარიამ დედოფალს როსტომ მეფე და მისი გარდაცვალების შემდეგ კი მეფე ვახტანგ ედგენენ მხარში, მაგრამ უშეტესწილად ყოველივე ამას მარიამ დედოფალი დამოუკიდებლად აკეთებდა.

მარიამ დედოფლის ბრძანებითა და საფასითაა აღდგენილი, განახლებული, აშენებული, მოხატული და შემკული ქართლისა და კახეთის არაერთი ეკლესია და საყდერი.

ცხინვალის მომიჯნავე ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია, როგორც მისი სამხრეთის კარის ზემოთ მოთავსებული ასომთავრული წარწერიდან ჩანს, მარიამ დედოფლის ბრძანებითაა აშენებული (88. გვ. 138).

1779 წელს ერთ განჩინებაში დაცულია ცნობა მარიამ დედოფლის მიერ ქაშეთის ეკლესიის აშენების შესახებ.

„ვერცინუალს, ფოტოროზედ-ნათქვამია ამ განჩინებაში,-წმინდის გიორგის ქაშეთის ეკლესია ჰქონებოდა მთაწმინდის ვატოპეტის ხარების მონასტერსა და ის ეკლესია ღიახვის მდინარისაგან დაქცეულიყო და მას ჟამსა ნეტარხსენებულს დედოფალს მარიამს მისსა ნაცვლად ღიახვის გამოღმა ეკლესია აეშენებინა, რომელიც დღეს არი,“ (63. გვ. 94).

„ჩვენ, დადიანის ასულმან დედოფალმან პატრონმან მარიამ აღვ-აშენეთ ეკლესია ესე ქრონიქონს :ტნდ...“ (1666 წელს)-ნათქვამია არადეთის ეკლესიის წარწერაში (42. გვ. 483).

„აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრილი ტაძარი შენი ჩვენ დადიანის ასულმან დედოფალმან, პატრონმან მარიამ“ -გვაუწყებს ურბნისის ტაძრის წარწერა, რომელსაც თარიღად 1668 წელი უზის (22. გვ. 48).

ასეთი წარწერები ამშვენებს ქართლ-კახეთის მრავალ ტაძარსა და ნატაძარს.

* ტელუშა.

მარიამ დედოფალი მფარველობდა და ხელს უმართავდა სომხურ ეკლესიასაც.

ზემო წალკისაკენ მიმავალი გზის პირას მდგარ პატარა ეკლესიის ტრაპეზის კამარის სომხურ წარწერაში ნათქვამია: „აშენებულა მქანამარამ ქართველთა დედოფლის მიერ სომეხ ტომთაგან მოსახლეობისათვის 1066 წელს“ (2. გვ. 166).

დიდი ამაგი დასდო მარიამ დედოფალმა ქართული ხელნაწერების გადარუსხვა-გამრავლებისა და აღდგენა განახლების საქმესაც.

„ღმერთო შეიწყალე და დაიცვენ ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა დედოფალთ-დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძანებითა იწერებიან წმინდანი ესე წიგნნი,“-აი, ასეთი მონაწერია ერთერთ მათგანზე. მისი ბრძანებით გადაწერილ ჩვენთვის ცნობილ წიგნთა ჩამოთვლაც კი შორს წავვიყვანდა, მაგრამ შეუძლებელია კაცი მარიამ დედოფლის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე წერდეს და ხაზგასმით არ აღნიშნო ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ დიდებული მანდილოსნის სახელთანაა დაკავშირებული. ეს გახლავთ „მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების“, სახელით ცნობილი ვეპერთელა, 932 ფურცლიანი ხელნაწერი, რომლის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიის შესწავლის საქმეში განუზომელია. ეს წიგნი მარიამ დედოფალმა 1634-1645 წლებს შორის გადააწერინა კალიგრაფ ვიორგის, რომლის გვარი, სამწუხაროდ, არ ვიცით (65. გვ. 43). სხვა ვეველაფერს რომ თავი დავანებოთ მარტოკა ამ ხელნაწერის მოძგების სახელიც ეყოფოდა ნებისმიერ მოღვაწეს, ჭეშმარიტ მამულიშვილად შერაცხვისათვის.

მარიამ დედოფლის ბრძანებით არის მოჭვდილი არა ერთი ხატი თუ ხაეკლესიო წიგნის ვდა.

* ამ წარწერის თარიღი, როგორც ჩანს, არასწორადაა ამოკითხული. სომხური წელთაღრიცხვის 1066 წელი შეესაბამება ჩვენი წელთაღრიცხვის 1617 წელს, მარიამს სომხთათვის ეკლესიის აგება კი 1634 წლის შემდეგლა შეძლო. ვკონებ, ათეულის აღმნიშვნელი ასო დაზიანების გამო სხვა ასოს მიემსგავსა და შეცდომაც ამან დააშუბინა ამოკითხველს. ათეულის აღმნიშვნელი ერთადერთი ასო, რომელიც წარწერის წამკითხველს შეცდომით შეეძლო 60-ის აღმნიშვნელი სომხურ პ ასოდ მიეჩნია არის ღ, რომელიც 90-ს შეესაბამება. თუკი ეს კარაული სწორია, მაშინ მარიამ დედოფლის მიერ ამ ეკლესიის აშენება 1657 წლით დათარიღდება.

1679 წელს მან მოჭედვინა თვალ-მარგალიტით შემკული უძვირფასესი ოქროს ხატი (42. გვ. 642), უფრო ადრე წმ. გიორგის მეტაფორას ქადა (42. გვ. 639) და კიდევ მრავალი სხვა.

ეროვნული

შემოსეული მტერი ძვირფასეულობასთან ერთად მჭიდროდ ხელნაწერებსაც იტაცებდა, რათა შემდეგ ისევ ქართველებისათვის მიეყიდა ისინი მამასისხლად. დღემდის მოღწეულია მარიამ დედოფლის მიერ მტრის ხელიდან დახსნილ-გამოსყიდული რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი.

„ჩვენ დედოფალმან პატრონმან მარიამ დავისხენით ჟამნი ესე მას ჟამსა ოდეს დიასამაძე კათალიკოზი ქალაქს ციხეში მოკვდა. ეს ჟამნი თათრებს დარჩათ, ერთ წელიწადს ეკან ვიპოვეთ, - აი, ასეთი მინაწერი გაუკეთებია მას სვეტიცხოვლის ჟამნზე 1645 წელს (101. გვ. 165).

პარხალის მრავალთავზე (A-95) არის ასეთი მინაწერი:

„ჩვენ ხელმწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდამ გამოვიხსენ და განვაახლე დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღევრძელოდ და ცოდვათა ჩუენთა შესან-ღობად, (95. გვ. 58).

მსგავსი მინაწერებია ტბეთის სახარებაზე (Q-929), ჭალის გულანზე (H-936)...

მარიამ დედოფალი დიდ ყურადღებას უთმობდა ეკლესიების მოხატვას. სწორედ ამ მიზნით მას ჰყავდა თავისი საკუთარი მხატვრები (63. გვ. 706), რუსეთის მეფის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ხატმწერები, ივან დანილოვი და სემიონ ოსტაფიევი მარიამის ხელქვეით აღმონჩნდნენ და მისი ბრძანებით რამდენიმე ეკლესია მოხატეს. მარიამ დედოფლის ყმები უნდა ყოფილიყვნენ მხატვრები, გრიგოლ გულჯავარაშვილი, საბა და მიქელი, რომელთა გვარები, სამწუხაროდ, წყაროებს აღარ შემოუნახავს.

მარიამ დედოფლის მზრუნველობა არც იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს მოჰკლებია. ამ მონასტერს საქართველოში დიდი მამულ-ები და რამდენიმე მეტოქი ქონდა (მეტეხი, კორცხელი...) მაგრამ ძნელბედობის გამოისობით ზოგი დიდებულთ დაესაკუთრებინათ, ზოგიც ივარქმნილიყო, ამიტომ შემოსავალიც ძლიერ შემცირებულყო, საჭირო იყო ამ მამულებისა და ყმა-გლეხების კვლავ მონასტრისათვის დაბრუნება, მარიამმაც ყველაფერი გააკეთა, რომ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს მისი კუთვნილი ყმა-მამული არ დაჰკარგოდა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1650 წელს მარიამ დედოფალმა როსტომ მეფესთან ერთად იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერის კუთვნი-

ლი სოფელი დირბი გაათავისუფლა „ყოვლის სათხოვარისა და გამოსაგლი-
სკან„ და „საიერუსალიმოდ„ 6000 თეთრის გადახდა დააკისრა ყოველწლი-
ურად.

ეროვნული

მარიამ დედოფალს, როგორც დღემდის მოღწეული წყაროების მიხედვით
ვევა, იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტრისათვის საეკლესიო
შესამოსელი და დიდძალი ფულადი შესაწირავი გაუგზავნია.

მოგზაური მღვდელმთავარი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც 1755
წელს მოიხილა პალესტინა და მისი მშვენება იერუსალიმი, წერს, რომ
ქართველთა მონასტერში ბაიობის მწუხრზე „მოიღესო გარდამოხსნა,
მძიმედ შემკული ორი: ერთი მარიამ დედოფლისა ქართველისა შეწირული
და მეორე ბაგრატ მუხრან ბატონისა და ელისე თბილელისა... მათ იგი
ეკლესია აღამკვეს ბრწყინვალეთა შესამოსლებითა, მურასა და საყდრის
იარაღებითა„ (81. გვ. 49).

სწორედ ამიტომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა (1585-1657), რომელიც
იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვრად (ჯვრის მამად)
1643-1649 წლებში იჯდა, მარიამ დედოფალს გაუჩინა აღაბი, რომელშიც
ნათქვამია:

„გაუჩინეთ, ჩუენ ჯუარის მამამან ნიკიფორე და ერთსულობით ძმათა,
აღაბი ბატონსა დედოფალსა მარიამს ქართლისა... რამდენიცა მღვდელი და
დიაკონი იყოს, ჟამსა უწირვიდნენ და მეტანიასას იქმოდნენ... ამინ„ (34. გვ.
102).

XVII საუკუნის მიწურულს იერუსალიმში მოღვაწე ქართველი მონაზ-
ონი ქალი საქართველოს იმჟამინდელ საერო და საეკლესიო ხელისუფალთ
გულისწეროვით სწერდა: „მარიამ დედოფლის აქეთ„ (ე. ი. მარიამ
დედოფლის გარდაცვალების შემდეგ) იერუსალიმის ჯვრის ქართველთა
მონასტრის მიმხედავი და შემწე ქართველთაგან არავინაა. „ამისთანა რა
გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრეთ დაკარგეთ“. ბერძნებს „აღარ უნდათო
ჩვენი კაცი“ და ქართული მონასტრებიც „ამათ ჩაივდეს ხელად და ჭამენო“.
(46. გვ. 38).

ხედავთ, მარიამის გარდაცვალება უმაღლ დასტეობიათ ქართულ ქრი-
სტიანულ საჯანეებს!

ცნობილია, რომ მარიამ დადიანს, როგორც დედოფალს, სამსახურისკო-
ლოსი ემობდა - ტფილელი, მანგლელი და შროველი „თავის საეპისკოპო-
სოთი, აზნაურიშვილით, მსახურით და მათის მამულით,“ (63, გვ. 220-221).

მარიამ დედოფლის საემოდ ითვლებოდა ურბნისა და მარტვილის, რომელიც მისივე მცდელობით იქნა აღდგენილი (98. საბ. 9999).

ამიტომ მარიამ დედოფალი ნიშნავდა დეკანოზებს, წინამძღვრებს და თვით ეპისკოპოსებსაც კი.

მართალია, მარიამ დედოფლის მიერ ეპისკოპოსად დადგინების შესახებ პირდაპირი მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეპისკოპოსებს, წინამძღვრებს და დეკანოზებს მეფე ნიშნავდა (74. გვ. 107). იმ დოკუმენტს, რომლის ჩვენთვის საჭირო ნაწყვეტს ქვემოთ შემოვთავაზებთ, მხოლოდ ასეთ დასკვნამდე მივყავართ.

ჩემს მიერ ზემოთ უკვე დამოწმებულ 1779 წლის ერთ განჩინებაში ქაშეთის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით აშენდა, ნათქვამია: „იმ ეკლესიის დეკანოზობა დედოფალს მარიამს მახნიაშვილებისათვის ებოძებინაო.“ (62. გვ. 94).

ცხადია, თუკი მარიამ დედოფალს შეეძლო დეკანოზობის ბოძება, მას ეპისკოპოსად დადგენაც უნდა შესძლებოდა, რადგან როგორც ეპისკოპოსის, ასევე დეკანოზის დანიშნაც მეფის უფლებებში შედიოდა. როგორც ვხედავთ, მარიამ დედოფალი ამ შემთხვევაშიც მეფის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი და ეს არცაა გასაკვირი. დედოფალი, რომელიც თვით საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზის შემუშავებაში და ცალკეული საკითხების გადაწყვეტაში მეფის თანამოსაყდრის, მეფის სწორის უფლებებით იყო აღჭურვილი. ამგვარი უფლებით საეკლესიო საკითხების გადაწყვეტაშიც იქნებოდა მოხილი. მით უფრო, რომ მისი მეუღლე - მეფე როსტომი შესაძლოა რწმენამერყეული, მაგრამ მაინც მაჰმადიანი იყო.

სწორედ მარიამ დედოფლის დანიშნული ჩანს მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრად სერაპიონ ჩიჯავაძე, რომელიც 1634 წელს ლევან II დადიანმა კარის მწირველად მზითვეში გამოაყოლა მარიამს.

სხვათა შორის მეტეხის წინამძღვარმა სერაპიონ ჩიჯავაძემ „ზეობა-სა როსტომ მეფისასა და დედოფლობასა მარიამისა“, ქვემო ქართლში,

შულავერის ხეობაში მდებარე სოფელში, რომელსაც, როგორც ამ ეკლესიის წარწერის აღმოჩენმა დევი ბერძენიშვილმა დაადგინა, იმ ხანად სიონის ერქვა, შემდეგ კი „ხუცის სოფელი“ - ეკლესია ააშენა (17.გვ.4)
ცხადია, იმ დიდ უფლებებს, რომლითაც ის იყო აღჭურვილი, მარიამ დადიანი იყენებდა არა მარტო ეკლესიის სამეურნეო მოღონიერებისათვის, ძველი ეკლესიების აღდგენა-განახლებისა და ახლების აშენებისათვის, არამედ ეკლესიაში პატიოსანი, დამაშვრალი და თავისი თანამოაზრე მამულიშვილების დაწინაურებისათვის, რითაც სურდა ქართული ეკლესია, სადაც მრავლად იყვნენ მედროვე, ხეპრე, ვერცხლის მოყვარე მღვდელთმსახურნი, განეკურნა ამ დამღუპველი ხენისაგან. მართალია მთლიანად არა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად მან ეს შეძლო კიდევ.



1654 წელს როსტომ მეფემ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა ვახტანგ მუხრან-ბატონი (1628-1658). იმავე წელს ვახტანგი შაჰ-ის კარზე გაავზავნეს. შაჰმა ის გაამაჰმადიანა, შაჰნავაზი დაანათლა, როსტომ მეფის მემკვიდრედ დაამტკიცა და ქართლის ჯანიშინად (მეფის მოადგილედ) დანიშნა (58.გვ.426).

1658 წელს, როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა ვახტანგ მუხრან-ბატონს ქართლის სამეფო ტახტიც უბოძა, მაგრამ თან უბრძანა, ცოლად მარიამ დედოფალი შეერთო. ვახტანგ V იძულებული გახდა, გაშორებოდა თავის მეუღლეს, როდამ ყაფლანის ასულ ორბელიანს, მაჰმადას სულხან-საბა ბრძინისა და შეერთო თავისი დედობილი-მარიამ დედოფალი.

მარიამ დედოფალი ვახტანგ V-სთან დაქორწინების შემდეგაც მეფის თანამოსაყდრე ჩანს. ის მისეული დაუდევრობით მონაწილეობს სამეფოს მართვაში. 1664 წელს, ერთერთ დოკუმენტში მარიამ დედოფალი წერდა: „მრავალი კარგი მიქნია საქართველოზე და დიდი ხნის ბატონიც ვიყავიო“, (44.გვ.107).

მარიამ დედოფალი თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებდა ვახტანგ V-ის პოლიტიკურ მისწრაფებებს.

ლევან II დადიანის გარდაცვალების (1657 წლის 17მარტი) შემდეგ ოდიშის სამთავრო ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში მარიამ დედოფალი ლიპარიტ დადიანის შემწედ გვევლინება და ეს არცაა გასაკვირი: ლიპარიტი ხომ სიტყაბუკეშივე ცხოვრება განაწამები და გარდაცვლილი მისი ძმის იესეს პირმშო ძე იყო.

* როდამ ორბელიანი ერთი წყაროში დედოფლად იწოდებოდა (20.გვ.72) მაგრამ მას სადედოფლო ტახტი არასოდეს სჭერია, ვახტანგთან იძულებითი დაქორწინების შემდეგ, როგორც ირკვევა, ის შემონაშენებულა კაატერინეს სახელით (20.გვ.72), როდამ ორბელიანი გარდაიცვალა 1681 წელს. დაკრძალულია რუისის ტაძარში (22.გვ.108).

სალიპარიტიანოს მფლობელმა ვამეყ დადიანმა (პირმშობ მარამ დედოფლის გამზრდელი ბიძის, ვიორგი ლიპარიტიანისა), ისარგებლა რა ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვანობით და დამბლადაცემულ მშენებელს ალექსანდრე დადიანის უნარობით, ლევან II-ის გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ იმერეთის მეფის დახმარებით ოდიშის სამთავრო ვვირგვინი ივღო ხელთ. ოდიშელი დიდებულები წინააღმდეგი ყოფილან ვამეყის გამთავრებისა და ლიპარიტ დადიანის მხარი ეჭირათ, მაგრამ „ვერა წინა აღუდგენ“, იმერთა მეფის ხმალსა და ნებას. ლიპარიტ დადიანის პირველი ცდა გამთავრებულყო სამეგრელოში, წარუმატებლად დამთავრდა. ის გურიაში გადავიდა და თავისი ბიძის (მამის ნახევარძმის), ქაიხოსრო გურიელის შუამდგომლობით ახალციხის ფაშას როსტომ ჯაყელს (1647-1659) სთხოვა დახმარება (79.გვ.294-295) ამ უკანასკნელმა ლიპარიტს „ურუმთა რაზმი“, მიაშველა (21.გვ.388) ფართ-ფაშას მეთაურობით (39.გვ.69).

ლიპარიტ დადიანი მარტო ქაიხოსრო გურიელისა და ახალციხის ფაშის იმედით არ იყო. ის მაშიდას მარიამ დედოფალს გორში ეწვია და შემწეობა სთხოვა. მარიამმა იმედი არ გაუცრუა თავის ძმისშვილის, როგორც, ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1694...) თხზულებიდან ირკვევა, ლიპარიტ დადიანისათვის სამხედრო დახმარების გაწევის თადარიგს თვითონ მარიამ დედოფალი ხელმძღვანელობდა. „ბატონი დედოფალი გორს ბრძანდებოდა და ძმისწულები ოდიშის დასაჭირავად გაგზავნაო“- წერს ის (10.გვ.268).

ლიპარიტ დადიანი ქართლის ლაშქრითურთ, რომელსაც სახლთუხუცესი ზაზა ციციშვილი სარდლობდა, სამეგრელოში შევიდა. მის დასახმარებლად მოვიდნენ ქაიხოსრო გურიელი და ფართ-ფაშა. ვამეყ III გაიქცა და იმერეთს შეაფარა თავი. ლიპარიტ III ოდიშის მთავარი გახდა. მას მხარს უჭერდა როგორც საერო, ასევე საეკლესიო დიდკაცობა, კერძოდ,

* როგორც ირკვევა, სიკვდილის წინ ლევან II დადიანმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა მცირეწლოვანი შვილიშვილი, ძე ალექსანდრე დამბლადაცემულისა, მის სრულასაკონებადღე სამთავროს მართვა თავის რძალს, ტახტის მემკვიდრის დედას ჩააბარა, დამხმარედ კი სალიპარიტიანოს მფლობელი ვამეყ ვიორგის ძე დადიანი (ლიპარიტიანი) დაუნიშნა. ამასთან, ტახტის მემკვიდრისა და მისი მურვის ერთგულებაზე დიდებულები დააფიცა (35.გვ.25). ლევანის გარდაცვალების შემდეგ სამთავრო ტახტზე მისი კუტი ძე - ალექსანდრე დამხდარა (54.გვ.101), მაგრამ მას, როგორც ჩანს, არაფერი ვკითხებოდა.

კათალიკოსი ილარიონი. მაგრამ ლიპარიტ III დადიანმა, როგორც ჩანს, რამდენიმე თვითღა შეძლო ტახტის შენარჩუნება.

1658 წელს, იმერეთის მეფე ალექსანდრე III და ტახტის მემკვიდრე ვამეყ III დადიანი ბანძასთან შეეხნენ ლიპარიტ III დადიანის მომხრე ოდიშართა და ახალციხის საფაშოს გაერთიანებულ ლაშქარს და დაამარცხეს ისინი. ლიპარიტ III ერთი მინაწერის მიხედვით, ამ ბრძოლაში დაღუპულა (39.გვ.72). ვახუშტის ცნობით კი ბანძასთან დამარცხებული ლიპარიტ დადიანი ქაიხოსრო გურიელთან ერთად სტამბულს წასულა და იქ გარდაცვლილა. (6.გვ.834).

სამეგრელოში ვამეყ III-ის გამთავრებას მარიამ დედოფალი არასოდეს შერიგებია. ის იყო მხოლოდ, ხელსაყრელ დროს უცდია.

დრო გადიოდა, ვამეყ III კი ოდიშის სამთავრო ტახტს არ ხვედრებოდა. ჯერ იყო და იმერეთის სამეფო გვირგვინი იგდო ხელთ და მეფეთა-მეფედ ეკურთხა, შემდეგ კი გურიის დაპყრობაც მოიწადინა.

1660 წელს მარიამ დედოფალს გურიიდან, სადაც მისი ძმა ქაიხოსრო გურიელი იჯდა სამთავრო ტახტზე, არასასიამოვნო ამბავი ჩამოუვიდა.

ქაიხოსრო გურიელის სიმაგრის ეკლესიაში მოხალოცად ყოფნისას გურიაში მეფე ვამეყ დადიანი შეჭრილიყო ოდიშარ-იმერელთა ლაშქრით. სოლომონ შარვაშიძეც ახლდა თურმე (ამ უკანასკნელის ასული ვამეყის ძმას შოუსტანად წოდებულ გიორგი ლიპარტელიანს ესვა ცოლად). ვამეყს შუა გურია დაურბევია, ოზურგეთი აუკლია და გურიელების სასახლეში (ციხე-დარბაზში) გამაგრებულა. მაგრამ ქაიხოსრო გურიელი მეყესეულად დასხმოდა თავს მომხდურთ, მეორე დღეს თავისი ციხე-დარბაზიც აუღია, ვამეყი განუდევნია, მისი ძმა გიორგი - შოუსტანი კი არაერთ ოდიშართან ერთად დაუტყვევებია. დატყვევებას ვერც ის ჯუმათელი ეპისკოპოსი სესიაშვილი გადარჩენია, რომელიც თურმე მომხდურთ წინამძღოლობდა (80.გვ.667).

ვამეყ III იმდენად გაკადნიერდა, რომ „გატეხა ზენარი ფიცი,“ და თავისი ასული, რომელიც ქართლის მეფის ვახტანგ V-ის შვილზე, არჩილზე იყო დაწინდული, იმერელ თავად ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა (56.გვ.64).

შეურაცხყოფილი ვახტანგ V-ის დაყოლიება ვამეყ დადიანს წინააღმდეგ გალაშქრებაზე ძალიან ადვილი იყო. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1647-1713), რომელიც 1672 წელს იმყოფებოდა საქართველოში, ასეთ ცნობას გვაწვდის: „მარიამმა....თავის ქმარს სთხოვა დაეცვა მისი

ძმისწულის უფლებები. დაებრუნებინა მისთვის ტახტი, რომლის კანონიერი და ნამდვილი მემკვიდრე იგი იყო, (69.გვ.238-239).

ვახტანგ V ლაშქრით სამეგრელოში შეიჭრა. ვამეყ III დედოფლის თურმე ლაშქარი შემოსცლია და მარტოდ დარჩენილს სვანეთში გააძევა ფარებია თავი.

ამ ამბების თვითმხილველი, ვახტანგ V-ის კარის მეხოტბე ფეშანგი ვააუნეებს:

„დადიანი საომარად ჩუენკენ იყო მამავალი,
ჯარი სრულად წაუვიდა, მარტო დარჩა ივ საწყალი,
გარდიხვეწა, ველარ ვნახეთ, მას მოუდვა ცეცხლებრ ალი,
რაცა სტყუა, მისგან ქმნილი, მიეგება მას ნაცუალი,“ (56.გვ.83).

ვამეყ III ქართლის მეფის რისხვისაგან დაფარვა სვანეთის ცადაწვდილმა მთებმაც ვერ შეძლეს. ვახტანგ მეფის ბრძანებით ლეჩხუმის სარდალ მოურავმა ხოხია ლაშხიშვილმა (გარდ. 1662 წ.) ვამეყს მკვლელები მიუგზავნა და სიცოცხლეს გამოასალმა.

გამარჯვებულმა ვახტანგ V-მ ოდიშის სამთავრო ტახტზე დასვა თავისი თანამეცხედრის - მარიამ დედოფლის ძმისწული შამადავლე იესეს ძე დადიანი, და ბიძის, ლევან II დადიანის საპატივცემულოდ მისი სახელი დაანათლა („სახელი დასდუა ბიძისა, ძაღლისა ლევანისაი,“).

თუ როგორ აფასებდა და როდენი პატივისცემითა და კრძალვით იყო მეფე ვახტანგ V გამსჭვალული თავისი თანამოსაყდრის მიმართ, კარგად ჩანს ფეშანგის შემდეგი ცნობიდან: როცა ოდიშში შამადავლე დადიანი (ლევან III) გაამთავრა, ვახტანგ V-მ თურმე მახარობელი აფრინა მარიამ დედოფალთან და აცნობა მისი სურვილის ასრულება რაც ცხადია, „დედოფალს მეტად ეამა,“ (56.გვ.90). ფრიად საყურადღებოა ვახტანგ V-ის სიტყვები, რომელიც ფეშანგის ცნობით მას უთქვამს იმერეთის დედოფალ დარეჯანსა და ოდიშის დედოფლ ელენეს (ვამეყ III-ის თანამეცხედრის) ზუგდიდში ჩამოყვანის (შოსხმის) თაობაზე:

მეფემ ბრძანა: „მახარობლად კაცი გუინდა პირმზეს წინა;
ჩუენ ვაცნობოთ ესე საქმე, მტერი როგორ მოიყინა;
დედოფალთა აქა მოსხმა, ვეჭობ რომე არ ეწყინა,
ლევანისა ბატონობა ეამების ვინცა ვინა.“

(56.გვ.88)

ამ სტროფიდან კარგად ჩანს არა მარტო ის, თუ რაოდენი თანამეცხედრული რიდი ჰქონია ვახტანგ V-ს მარიამ დედოფლისა, არამედ მასში გაცხადებულია მარიამ დედოფლის ქალური სისუსტეც.

ამრიგად, მეფე ვახტანგ V-მ აუსრულა თავის თანამეცხედრის სურვილი - მისი ძმისშვილი ოდიშის სამთავრო ტახტზე დასვა.

მარიამ დედოფალს, როგორც მეფის თანამოსაყდრეს, ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენა ვახტანგ V-ის ზეობის დროსაც არ დაუკარგავს. მეტიც, მარიამის პოლიტიკური მიზნების ხორცშესხმისათვის ბევრად ნოყიერ ნიადაგს, სწორედ ამ გარეგნულად გამაჰმადიანებელი, სულთ ხორცამდე კი ქრისტიანი მეფის ზეობა ქმნიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვახტანგ V-ს აკლდა თავისი წინამორბედის პოლიტიკური მოქნილობა და შორსმჭვრეტელობა.

სამეფო ტახტზე ასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი) უკვე იმდენად მოძძლავრებულად გრძნობდა თავს, რომ შაჰის ბრძანებებისადმი ურჩობა დაიწყო. სრული დამოუკიდებლობისაკენ მისი სწრაფვა, ცხადია, ირანის სახელმწიფოს მესვეურთ არ გამოეპარებოდათ. ასეც მოხდა. ვახტანგ V-ის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრამ შაჰ-სულეიმანი (1667-1694) აღაშფოთა, რადგან ეს ირანის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებას ნიშნავდა (ამ მონტაზე ნაცვლად ირანის შაჰის სახელისა, ამოიტვიფრა თურქეთის სულთნის მუჰამედ II-ის სახელი).

მთელი საქართველოს გაერთიანებაზე მეოცნებე ვახტანგ V ირანის ყმადნაფიცობიდან თურქეთის ყმადნაფიცობაში გადასვლას ლამობდა, რადგან კარგად უწყობდა, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იყო შესაძლებელი დასავლეთი საქართველოს შემოერთება.

განრისხებულმა შაჰმა ვახტანგ V ისპაჰანში გამოიძახა. წაუსვლელობა არ იქნებოდა, რადგან სპარსეთის მბძანებელი ქართლში შემოჭრით და ქვეყნის აოხრებით იმუქრებოდა. ვახტანგ V-მ საამშობლოს განსაცდელში ჩაგდებას თავგანწირვა ამჯობინა და ისპაჰანს გაემგზავრა, მაგრამ ვაში, ხომკარს გარდაიცვალა. ის სპარსელებმა მოწამლეს. ეს მოხდა 1677 წელს (26.გვ. 123-145).

ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი - გიორგი XI, რომელიც მამის პოლიტიკის ერთგული და თანმიმდევრული გამტარებელი იყო. მარიამ დედოფლის პოლიტიკური

შესაძლებლობანი, ცხადია, ახლა ნაკლები იყო. ის უზარმაზარი პარტიკი, რომლითაც ის იყო მოსილი მთელს საქართველოში, მას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენის საშუალებას აძლევდა, მაგრამ უკვე მოხუცებული მარია მდედოფალმა ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვას უფრო მეტად ოდგინედ მიჰყო ხელი და პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ მონაწილეობდა.

7. მარიამ დედოფლის პირადი ცხოვრება და ზნეობრივი სახე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ დედოფლის პირადი ცხოვრება აღსავსეა ცრემლითა და ტკივილებით, იმედგაცრუებებითა და აღშფოთებებით...

მწუხარების პირველი ცრემლი მარიამმა 1611 წელს დაღვარა, მამის, მანუჩარ I დადიანის დაღუპვისას, მაგრამ ეს მაინც არ იყო ბოლომდე გაცნობიერებული მწუხარების ცრემლი, მარიამი ხომ ამ დროს 10-12 წლისა თუ იქნებოდა.

1622 წელს ლევან II დადიანმა, რომელიც გამზრდელი ბიძის, გიორგი ლიპარიტიანის ახალგაზრდა, ლამაზსა და ტანკენარ თანამეცხედრეს ნესტან-დარეჯან ჭილაძეს ყვარობდა, თავის აფხაზ მეუღლეს, სეტემან შერვაშიძის ასულ დედოფალ თანურიას თავისსავე ვეზირთან, პაპუნა ანჯაფარიძესთან ღალატი დასწამა, ცხვირი დააჭრა, აფხაზეთი დალაშქრა, ააოხრა და თანურია იქ დააკვდა. იქიდან მობრუნებულმა გამზრდელ, მოხუცებულ ბიძას გიორგი ლიპარიტიანს ცოლი წაპყვარა და მასზე თვითონ დაიწერა ჯვარი.

ჭაბუკი მთავრის ასეთი საქციელით შეშფოთებულ-შეძრწუნებულმა დიდებულებმა შეთქმულება მოაწყვეს ლევანი II-ის მოკვლის და მის ნაცვლად სამთავრო ტახტზე მისი ძმის იესეს დასმის მიზნით, მაგრამ ლევანი II მსუბუქად დაიჭრა და გადარჩა. ცხადია, შეთქმულებას ის სასტიკად გაუსწორდა. შეთქმულების მეთაური ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე ზარბაზნის ლულაზე მიაბაგრებინა და ნაფლეთებად აქცია. თავის ძმას, უფლისწულ იოსებ (იესე) დადიანს თვალები დასთხარა. ამ საცოდავ უფლისწულს „ზრდილობიანი, კაცთმოყვარე, დამჯდარი ხასიათის„ კაცის სახელი ჰქონია ოდიშარ დიდებულებს შორის. ის მარიამის ღვიძლი ძმა იყო მამითაც და დედითაც.

ადვილი წარმოსადგენია რა განცდებში იქნებოდა ამ დროს უკვე ოზურგეთში, სვიმონ გურიელის სასახლეში მცხოვრები მარიამი, როცა თავისი გვირგვინოსანი ძმის მიერ სრულიად უდანაშაულო თანამეცხედრის თანურია შერვაშიძისათვის ცილის დაწამებისა და ცხვირის დაჭრის ამბავს გაიგებდა, ან როცა ლევანის მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქციელის-გამ-

ზრდელი ბიძისთვის ცოლის წართმევის ამბავს მიუტანდნენ მაცნეები, როცა თავისი უსაყვარლესი ძმის, იესეს ესოდენი სისატიკით დასჯის შესახებ მოუთხრობდნენ მალექმსრობონი,...

ვინ იცის, რამდენი ცრემლი დაღვარა მარიამ დედოფალმა თავისი ბედკრული ძმის იესეს საფლავზე. თვალების დათხრის შემდეგ მას დიდი ხანი აღარ უცოცხლია (მარიამის მეორე ღვიძლი ძმა ერეკლეც სიჭაბუკისას ჩანს გარდაცვლილი და ცხადია, მისი სიკვდილიც მწარე განსაცდელი შეექნებოდა სათნო და კეთილ მარიამს).

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ როგორ მოუკლავდა გულს მარიამს მოხუცი გიორგი ლიპარიტიანის, თავისი კეთილი გამზრდელი ბიძის დარდს ვადაყოლა.

მისთვის, როგორც კდემამოსილი და მორწმუნე ქალისათვის შემადრწუნებელი იყო ქმრის, სვიმონ გურიელის მიერ ჩადენილი მკრეხელური დანაშაული, სამთავრო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით მშობელი მამის სასიკვდილოდ გამეტება.

გადაჭრით შეუძლებელია თქმა იმისა, თანახმა იყო თუ არა მარიამი სვიმონ გურულთან განშორებისა, მაგრამ თავისი ძმის ლევან II-ის მიერ სვიმონ გურიელისადმი გამოჩენილ სისასტიკეს (თვალების დათხრას), ალბათ, გულგრილად ვეღარ შეხვდებოდა.

1625 წლიდან 1634 წლამდე ქმარს გაცილებული მარიამი სამეგრელოში, თავისი ძმის ლევან II დადიანის კარზე ცხოვრობდა. აქ მას, როგორც ჩანს, კიდევ ერთი უბებურება დასტყდომია თავის-გარდაცვლია მცირეწლოვანი შვილი, რომლის სახელი წყაროებს აღარ შემოუნახავს.

სიკვდილმა მარიამის არც მეორე შვილი, ოტია გურიელი დაინდო. ის 1645 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა (74.გვ.129). უბედურმა დედამ ძლიერ განიცადა შვილის სიკვდილი. ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1694...) ცნობით, ოტიას გარდაცვალების პირველ ხანებში მარიამ დედოფალი ყოფილა „ვითარცა მკედარი“, (10.გვ.252).

უმემკვიდრო როსტომ მეფემ იშვილა თავისი ბიძაშვილის (სვიმონ მეფის ძის) ვახტანგის შვილი ლუარსაბი, რომელიც ირანში, შაჰის კარზე

* მარტვილის ფრესკაზე, რომელიც გათხოვების შემდეგროინდელ ფრესკათაგან ყველაზე ადრეულია, მარიამი გამოსახულია მხოლოდ მცირეწლოვან (3-5 წლის) ოტიასთან ერთად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფრესკის მოხატვისას ის მეორე მცირეწლოვანი შვილი, რომლის სახელი არ ვიცით, უკვე გარდაცვლილი იყო.

იზრდებოდა. მარიამმა შეილივით შეიყვარა იგი, მაგრამ ლუარსაბს წაღირ-
ობისას შემთხვევით თოფი ჰკრეს და მოკვდა...

ბედი არ სწყალობდა მარიამ დედოფალს პირად ცხოვრებაში, მაგრამ
მაინც მედგრად იყო, საქართველოს ხსნას, ქართული ენის გადარჩენას
სჭირდებოდა მისი სიმტკიცე და ისიც საკუთარ თავში ყოველთვის პოულო-
ბდა ძალებს იმისათვის, რომ სულით არ დაცემულიყო. ამას კი მტკიცე,
ურყევი ხასიათის მქონენი ახერხებენ მხოლოდ.

მარიამ დედოფლის ზნეობრივი სახის წარმოსადგენად ვგონებ, ერთი
ეპიზოდის გახსენებაც კმარა, მისი ცხოვრებიდან.

ლევან II დადიანმა ერთერთი ბრძოლისას დაატყვევა ნიჭითა და
სიმაჰაცით გამორჩეული ძმა იმერთა მეფისა მამუკა ბაგრატიონი. ტყვე
უფლისწულს ოდიშის სასტიკმა მთავარმა თვალები დასწვა და საშინელი
წამებით ამოხადა სული.

ეს მოხდა 1653 წელს.

ამის გამგონე მარიამ დედოფალმა, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვე-
ბით რომ ვთქვათ, „ვითარცა თავის შეიღს ოტია ზედ ისრევე თმა გაშლით და
მკლავ ჩახდით გულმწუხრის ცრემლის ფრქვევით,“ გამოიტირა მამუკა ბატ-
ონიშვილი და ძაძვებით შეიმოსა (10. გვ. 261).

დამეთანხმებით, ალბათ მკითხველო, ღვიძლი ძმის მიერ მოკლული
უცხო ადამიანის გამოტირება და მისი გლოვა დიდბუნებოვან, დიდსულოვან
მანდილოსანსღა ძალუძს მხოლოდ!..



დედმდის მოაღწია მარიამ დედოფლის რამოდენიმე ფრესკულმა ფაქტო-
ოსახულებამ და ერთმა მისი თანამედროვე იტალიელი მხატვარ-მისიონი-
ერის მიერ ქალღმრთელ ფანქრით ნახატმა სურათმა.

მარიამ დედოფლის ყველაზე ადრინდელი ფრესკული გამოსახულება
დაცულია წალენჯიხის საკათედრო ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდ-
ერში (მისი ოჯახის საძვალე ეკვდერში). ამ ეკვდრის ჩრდილოეთ კედელზე
ახალგაზრდა ქალის გამოსახულებას ახლავს განმმარტავი წარწერა:

„ბატონიშვილი მარიამ, ასული ხელმწიფისა მეფისა მანუჩარისა...“

აქვე ხატია მარიამის ძმა „ბატონიშვილი ერეკლე, ძე ხელმწიფისა
მანუჩარისა“, რომლის შესახებ ცნობა არცერთ სხვა წუაროში არაა დაცუ-
ლი. ეტყობა, ერეკლე დადიანი ჭაბუკობისას გარდაიცვალა.

აქვე არიან გამოსახულნი მარიამის ბებიი „დედოფალთ-დედოფალი
ნათელა-დიდის ხელმწიფის მამია დადიანის თანამეცხედრე“, მარიამის ბიძა
„ბატონიშვილი როსტომ, ძე ხელმწიფისა მანუჩარისა...“

ამ ეკვდრის სამხრეთ კედელზე კი მიხატულია ლევან II დადიანი
თავისი სახლეულით (თანამეცხედრე-ნესტან დარეჯან ჭილაძე, ძე
ალექსანდრე, ასული ძილიხან) აქვეა ლევან II-ისა და მისი მეუღლის
ზედწერილიანი მარმარილოს ქვით დახურული აკლდამა.

მარტვილის საკათედრო ტაძარში, ერთერთ სვეტზე გამოსახულია
თვალ-მარგალიტით შემკული უძვირფასესი სამოსლით შემკული ქალი,
რომელიც, უეჭველად დედოფალია, რაზედაც მისი გვირგვინი მიუთითებს.
მის გვერდით კი მცირეწლოვანი ყმის გამოსახულებაა. ის, როგორც ჩანს,
დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელია, რადგანაც დადიანების
საბრძანებლის უმთავრესი ტაძრის კედელზეა გამოსახული. მაგრამ ხომ
შეიძლება ამ ტაძარში სამეგრელოს რომელიმე მთავრის მეუღლეც გამოუ-
სახათ? რასაკვირველია, შეიძლება და არიან კიდევ გამოსახულნი, მაგრამ
ასეთ შემთხვევაში მათ მეუღლეების გვერდით ხატავდნენ და არა ცალკე,
ეულად. ეს უცნობი დედოფალი, უეჭველად XVII საუკუნის პირველი ნახევ-
რის მოღვაწეა, რადგან ეს ფრესკა, ყველა ნიშნით სწორედ ამ დროსაა
შექმნილი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ დედოფალს
ჰყავს ერთი მცირეწლოვანი შვილი (ძე).

ვინ უნდა იყოს ეს დედოფალი?

რადგან ეს დედოფალი მცირეწლოვანი ყმით აქ მეუღლის გარეშეა გამოსახული, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ან ქვრივია, ან ქმარს გაცილებული ან ისეთი მეფის ან მთავრის მეუღლე, რომლის გამოსახვა ქრისტიანული ეკლესიის კედელზე რაღაც მიზეზით არ შეიძლებოდა.

დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ისეთი ქალი, რომელიც მეუღლეს იყო გაცილებული და ჰყავდა ერთი, ვაჟიშვილი, XVII საუკუნეში იყო მხოლოდ მარიამ დადიანი, რომელიც 1625 წელს ძმამ, ლევან II დადიანმა გაჰყარა ქმარს, მამისმკვლელ სვიმონ გურიელს და სამეგრელოში წამოიყვანა, სადაც ის თავის მცირეწლოვან შვილთან, ოტიასთან ერთად ცხოვრობდა 1634 წლამდე, ქართლის მეფე როსტომზე გათხოვებამდე. მარიამ დედოფალი იყო ის ერთადერთი ქალიც თავის საგვარეულოში, რომლის მეუღლე მეფე როსტომი, იმის გამო რომ მაჰმადიანი იყო, არ შეიძლებოდა მის გვერდით დაეხატათ (ქრისტიანული ეკლესიის კედელზე არაქრისტიანის გამოსახვა, თუნდაც ის მეფე ყოფილიყო, აუხსნად ცოდვად, მკრებელობად მიიჩნეოდა და იკრძალებოდა). ამიტომ, შეიძლება საკმაოდ თამამად დავასკვნათ, რომ მარტვილის ტაძრის ზემოთხსენებული დედოფალი არის მარიამ დადიანი. მაგრამ ეს ფრესკა მანამდე უნდა იყოს შექმნილი, სანამ მარიამი როსტომ მეფეს მისთხოვდებოდა. ამას გვაფიქრებინებს მის გვერდით გამოსახული ოტია გურიელის მცირეწლოვნება. ის კი 1622-1625 წლებს შორის დაიბადა. 1634 წელს კი 10 წლისა მაინც იქნებოდა. ამ ფრესკაზე კი ის აშკარად ამ ასაკზე პატარადაა გამოსახული, განსხვავებით სვეტიცხოვლის ფრესკიდან, სადაც ის 14-15 წლისა ჩანს (სურ.3)

პირი მარტვილის ტაძრის სვეტზე გამოსახული მარიამ დედოფალის ამ ფრესკისა, რომლის თანმხლებ წარწერებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვეღარ მოუღწევიათ, გადმოიღო და შესასური სიზუსტით აღადგინა, შესანიშნავმა მხატვარ-რესტავრატორმა და ხელოვნებათმცოდნემ ნინო კიტოვანმა (ეს პირი ამჟამად ზუგდიდის მუზეუმშია დაცული).

მარიამ დედოფლის მეორე ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი სვეტის აღმოსავლეთ კედელზეა მიხატული. აქაც მარიამ დედოფალი მარტო, მეუღლის გარეშეა გამოსახული, თავის ძესთან 13-14 წლის ოტია გურიელთან ერთად.

ამ ფრესკის გადმონახვატი, შესრულებული ცნობილი რუსი მხატვრის გრიგორი ვაგარინის (1810-1893) მიერ, დაიბეჭდა ამ მხატვრის ალბომში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა (81), მიუხედავად იმისა, რომ

დედანს მიზუსტებით ვეღარ გადმოსცემს, საკმაოდ დამჭვრებლად აღგვიდგენს ამ დიდებული დედოფლის გარეგნულ ღირსებებს.

მარიამ დედოფალმა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეგრესიული ქართველთა ჯვრის მონასტერსაც არ მოაკლო თავისი მზრუნველი ხელი. ამიტომ ამ ტაძრის კედელზე მისი გამოსახულებაცაა მიხატული. ცნობა იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში, მარიამ დედოფლის ფრესკის არსებობის შესახებ ქართველ საზოგადოებრიობას მიაწოდა მოგზაურმა მღვდელმთავარმა ტიმოთე გაბაშვილმა, რომელიც 1755 წელს ეწვია პალესტინას. აღწერს რა ქართველთა ჯვრის მონასტერს იერუსალიმში, ტ. გაბაშვილი წერს: „მუნ ხატია დადიანის ასული მარიამ, დედოფალი ქართლისა,“ (17.გვ.82)

1845 წელს პალესტინაში მოგზაურობისას ეს ფრესკა ნახა და გადმოხატა კიდე ნიკო ჩუბინიშვილმა (1788-1845), რომლის „ჯვრის მონასტრის აღწერა,“ გასული საუკუნის მიწურულს გამოსცა ალ. ცაგარელმა (90.გვ.44-47).

ნიკო ჩუბინიშვილის მიერ გადმოღებული პირი ამ ფრესკისა (ნახ.3) დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-1767.გვ.174). ეს გადმონახატი ამ ოცი წლის წინათ გამოაქვეყნა ბ. კანდელაკმა (23.გვ.6).

ნიკო ჩუბინიშვილი იძლევა ამ ფრესკის მოკლე მაგრამ ტევად აღწერას: „სამხრეთის საკუთხეველის სვეტზე ხატია პორფირო-ვირიკინოსანი დედოფალი მუხლზედ მდგომი წ(ინაშ)ე მაცხოვრისა და ზედ აწერია ქართულად: დედოფალი მარიამ ასული დადიანისა. შ(ეუნდ)ოს ღ(მერთმ)ან ა(მი)ნ,“

ნიკო ჩუბინიშვილისეულ გადმონახატს კი ზემოდან ფანქრით აწერია: „Царица Груз. Мариа, уражд. Дадианова.“

იტალიელი მხატვარ-მისიონერის ქრისტეფორო დე კასტელის (1597-1659) ალბომში არის ერთი ნახატი, (სურ.1), რომელზედაც გამოსახულია ლამაზი, სანდომიანი ქალი, ჭკვიანი, ოდნავ სევდა შეპარული თვალებითა და კეთილი, მიმზიდველი სახით. სურათზე მარჯვნივ (სახის პირდაპირ) და ქვემოთ არის ლათინური, ვაფერმკრთალებული და ამ მიზეზით ძნელად ამოსაკითხავი წარწერები. ქრისტეფორო დე კასტელის საქართველოს შესახებ ცნობების მთარგმნელმა და ამ ალბომის გამომცემელმა, აწ განსვენებულმა ბეჟან გიორგაძემ ამ ლათინური წარწერებიდან ნაწევრების ამოკითხვალა მოახერხა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანის ამოკითხვა მაინც შეძლო. წარწერის ბოლოში იკითხება: „საქართველოს დედოფალი,“

(25.გვ.92) მართალია, სახელი დედოფლისა წარწერაში, როგორც ჩანს, გადასულია მაგრამ აქ რომ მარიამ დედოფალი იგულისხმება, ამაში დაეჭვება ძნელია, რადგან საქართველოს დედოფალს სწორედ ქართველ დედოფალს ეძახდნენ. ქართლში კი ქრისტეფორო დე კასტელის საქართველოში მოღვაწეობისას (1632-1654 წლებში) დედოფლად სულ მარიამ დადიანი იჯდა. ამ სურათზე რომ მართლაც დედოფალია გამოსახული, ამაზე უთითებს მასზე არსებული გაფერმკრთალებული ლათინური წარწერებიდან ამოკითხული კიდევ ერთი სიტყვა: Colhida. აშკარაა, რომ წარწერის ამ ნაწილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ აქ გამოსახული ქალი ასულია სამეგრელოს (კოლხეთის) მთავრისა.

დასასრულს საგულისხმოა ამ მინაწერების სხვა ამოკითხული ნაწევრებიც, რადგან აქ მარიამ დედოფალის პიროვნულ ღირსებებზეა ლაპარაკი: „ზომიერად მზიარული ქალი. ჭკვიანი... კარგად აღზრდილი უნდა იყოს.“ (25.გვ.92).

9. მარიამ დედოფლის გარდაცვალება



ეროვნული

ბიბლიოთეკა

მარიამ დედოფალი ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა. ის დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში. მის საფლავის ქვაზე დღემდე შემონახული ასომთავრული წარწერის ბოლო, სადაც გარდაცვალების თარიღებია (ქრისტეთი და ქრონიკონით) მითითებული, სამწუხაროდ დაზიანებულია.

ქარაგმების გახსნის შემდეგ ეს წარწერა შემდეგნაირად იკითხება;

„ასული:დადიანისა:დე(დო)ფალი:საქართველოსა

მარიამ:დავემკდრე:მცირესა:ამას:ს(ა)ფლავსა:

მხილველნი:შენდობას:გვიბრძანებდეთ:ღ(უ)თის

გულისათვის: ქ(რისტეს)სა ჩქ...ქ(რონი)კ(ონ)ს:ტ...„

ამ ეპიტაფიის პირველი თარიღი, თუკი მას ერთეულის აღმნიშვნელი ასო არ აკლია ბოლოში (ვფიქრობ უნდა აკლდეს) 1680 წელს შეესაბამება. ქრონიკო კი ათეულის აღმნიშველი (და ალბათ ერთეულის აღმნიშველი) ასოც აკლია და ის დასათარიღებლად ვეღარ გამოდგება(42.გვ.496). მარიამ დედოფლის გარდაცვალების შესახებ ქრონიკებში დაცულ ცნობებში თარიღებს შორის სხვაობაა.

ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1694) ცნობით მარიამ დედოფალი გარდაცვლილა ერეკლე ბატონიშვილის დედის ისპაჰანში ჩასვლის მეოთხე წელს, ერეკლეს დედა კი მიხივე ცნობით ისპაჰანში ჩასულა 1677 წელს (10.გვ.278) მაშასადამე ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით მარიამ დედოფალი 1681 წელს უნდა გარდაცვლილიყო.

ვახუშტი ბაგრატიონი მარიამ დედოფლის გარდაცვალების თარიღად 1682 წელს უთითებს (6.გვ.45) ეს თარიღია მითითებული „ცხოვრება საქართველოსა“-ში (72.გვ.123), და XVII საუკუნეში გადაწერილი ერთერთი „უამნი“-ს მინაწერში (39.გვ.35).

იესე ჩხეიძის მიერ XVII საუკუნეში გადაწერილი ჟამგულანის (H-1738) ქრონიკის ცნობითაც მარიამ დედოფალი 1682 წელს გარდაიცვალა (49.გვ.169).

გარდაიცვალა
ნიკოლოზისა

XVII საუკუნეში გადაწერილი კახური „ჟამნი“-ს ქრონიკაც მარიამ დედოფლის გარდაცვალებას 1682 წლით განსაზღვრავს (67.გვ.49).

გაბრიელ მიქაძე (დაბ.1687 წ.) თავის ქრონიკაში მარიამ დედოფლის გარდაცვალების თარიღიდან უითებს 1683 წელს (66.გვ.179) ასეთივე ცნობას გვაწვდის ერთი სხვა ქრონიკაც (39.გვ.64)

ვფიქრობ, მარიამ დედოფლის გარდაცვალების ამ ოთხი თარიღიდან სწორი 1682 წელს უნდა იყოს. თუმცა, ამის მტკიცება დაბეჯითებით შეუძლებელია.

მარიამ დედოფალი დიდი პატივით დაკრძალეს. მისი გარდაცვალებისთანავე მეფე გიორგი XI-მ განაწესა „საალაოდ მისაცემი მარიამ დედოფლისათვის,, რომელიც 1707-1709 წლებში მეფე ვახტანგ VI-მ „დასტურლამადად,, წოდებულ კანონთა წინგშიც კი შეატანინა „დასტურლამალი სადედოფლოს,, -ს სახეწოდებით (103.გვ.702-722). ამ „საალაოდ მისაცემის,, მიხედვით ყოველ წელიწადს „შვიდს საუფლოს დღეს,, ეკლესიაში მოიხსენიებდნენ მარიამ დედოფალს და წირვას აყენებდნენ მისი სულის საოხად.

მარიამ დადიანს, საფლავშიც არ ეწერა მოსვენება. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ მეფე გიორგი XI-ს ცოლი ვახდომია. ავად ერთ მისანს მეფისათვის მოუხსენებია-შენი ჯალაბი მარიამ დადიანისგან არისო ავად, თუ განკურნება გინდათ თანამეცხედრისა, მკვდარ მარიამს თავი მოსტყერით და ავადმყოფს გვერდით ამოუდევითო. ასეც მოქცეულან. სულმნათი დედოფლისათვის თავი წაუჭრიათ და ავადმყოფი დედოფლისათვის ამოუდვიათ გვერდით... მარიამ დედოფალი ხომ საფლავშიც გააწვალეს და ავადმყოფ დედოფალსაც ვერაფერი უშველეს. მალე მანაც დაღლია სული.

სწორედ ამაზე ვასწეროშია ირანის შაჰი ქართლის მეფეს: მარიამ დედოფალი „ჩემი და მამაჩემის ერთგულიო და ქვეყნის დამწყნარებული ბატონი იყოო და რამ გააკაო ისე, რომ თავის დედას ასეთი ავკაცური კადრაო,, ... (10.გვ.278).

მარიამ დედოფალი, ისევე როგორც ყველა კეთილმორწმუნე ქრისტიანი, შენდობას ითხოვდა ცოდვებისათვის და ჩვენც, მაღლიერმა ქრთველო-

ბამ სხვა თუ არაფერი ეს თხოვნა მაინც ვისმინოთ ამ ბრძენი, შედგარი, გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი და სათანადო ქალისა, რომლის განუზომელი ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე სამწუხაროდ დღემდე არაა სათანადოდ დაფასებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუნდოს ღმერთმან ცოდვანი მისნი.
ამინ.

დამოწმებული წყაროებისა და გამოკვლევების
სია:



1. გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - ნიკიფორე ირბახი. თბ. 1977.
2. ზ. ავალიშვილი. თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. დამატება. სამი ისტორიული საბუთი. პარიზი. 1938.
3. ილია ანთელავა. ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, „საისტორიო კრებული“. თბ. 1976
4. ილია ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ. 1990
5. დონ პიეტრო ავიტაბილე. წერილები საქართველოზე. იტალიურიდან თარგმნა... ბუჟან გიორგაძემ. თბ. 1997.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფო-საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. თბ. 1973.
7. დევი ბერძენიშვილი. სოფელ სიონის ისტორიიდან. „ძეგლის მეგობარი“, 21. თბ. 1970.
8. ს. ბარნაველი, დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი. საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. XVIII-B. თბ. 1962.
9. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. თბ. 1973
10. ფარსადან ვორგიჯანიძე. ისტორია. „საისტორიო მოამბე“. წ. II. ტფ. 1925
11. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1954
12. კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წაწერა. ენიშკის მოამბე. III. თბ. 1940
13. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბ. 1958
14. ვ. გუჩუა, შ. მესხია. საქართველოს ისტორია. თბ. 1978
15. ჯონდო გვახალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქრთლი). თბ. 1983
16. დავით გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1959
17. ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა. თბ. 1956



18. მერი ვუგუშვილი. თეიმურაზ პირველის ცხოვრების ვზა. თბ. 1976

19. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. თბ. 1961

20. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან
ნ. ბერძენიშვილის რედექციით. I. თბ. 1940

21. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულიდან
თარგმნა... ვ. ფუთურიძემ „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორი-
ისათვის...“ ნაკვ. 30, თბ. 1954

22. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I
ტფ. 1907

23. ბ. კანდელაკი, აღმოჩენილია შოთა რუსთაველის, პეტრე იბერისა
და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება...“ 1958
წ. N 8

24. დიონიჯო კარლი. თბილისის აღწერა. იტალიურიდან თარგმნა...
ბუჟან ვიორგაძემ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვ-
ის...“ ნაკვ. 29. თბ. 1951

25. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქარ-
თველოს შესახებ. თბ. 1977

26. დ. კაჭარავა. ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვ-
ის. კრ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიი-
დან...“ I. თბ. 1970

27. კ. კუცია. კავკასიური ელემენტი სეფინთა ირანის პოლიტიკურ სარ-
ბიელზე „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები...“ თბ. 1963

28. კ. კუცია. ისპაჰანის ქართველი ტარულები (1618-1722), კრ.
„მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები...“ II. თბ. 1972

29. დ. კაციტაძე. XVII-XVIII საუკუნეების მზითვის წიგნები, როგორც
წყარო ირანის ქალაქების ისტორიისათვის. „მაცნე“ (ფილოსოფიის...
სერია) 1975. №2

30. ლ. კეკელიძე. ქართული მწერლობის მეცენატი ქალები. „ძველი
ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგის საკითხები...“ წ. V თბ.
1973

31. გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები. თბ. 1958

32. გურამ მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა
XIII-XVIII საუკუნეებში. თბ. 1982

33. ისკანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვიდებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული თარგმანი. მუნ-შენები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა. თბ.1981
34. ე.მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კონფლიქტის ისტორიისათვის. თბ.1962
35. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე. თბ. 1964
36. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა...ნ.შენგელიამ. თბ.1974
37. მ.ნიკოლეიშვილი. XVII საუკუნის ისტორიული მასალები. ქუთაისის მუზეუმში. „მასალები“, თბ.1971
38. მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვეის წიგნები). გამოსაცემად მოამზადა მზია იაშვილმა. თბ.1974
39. ჯ.ოდიშელი მცირე ქრონიკები. თბ.1968
40. ვ.პაიჭაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1625-1653), „საისტორიო მოამბე“, ტ. I- ,თბ.1965
41. გულქან ჟორჯოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50 იან წლებში. თბ.1987
42. თ.ჟორდანია, ქრონიკები. ტ.II ტფ.1897
43. თ.ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903
44. დ.ჟღენტა, ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფოს გამგებლობაში. ჟ.„მაცნე“, (ისტორიის სერია) 1985. NI
45. მ.რეხვიაშვილი. დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში, თბ.1978
46. საქართველოს სიძველენი ტ.I. ე.თაყაიშვილის რედაქციით, ტფ.1899
47. საქართველოს სიძველენი. ტ.II. ე.თაყაიშვილის რედაქციით, ტფ.1909
48. საქართველოს სიძველენი. ტ.III. ე.თაყაიშვილის რედაქციით, ტფ.1910
49. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ.I. (H კოლექცია). თბ.1950



50. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში
წ. I. თარგმნა... ვ. ფუთურიძემ. თბ. 1961
51. ნუგზარ სურგულაძე, სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა. თბ. 1990
52. ნუგზარ სურგულაძე. ვალის სამოხელეო ინსტიტუტის საკითხისათვის სეფიანთა ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოში. კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“. I. თბ. 1990
53. აბესალომ ტულუში, XVII საუკუნის გურიის მთავართა ქრონოლოგიის გარკვევისათვის (იბეჭდება ჟ. „მაცნე“-ში).
54. თ. ტივაძე. ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. კრ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“. I. თბ. 1970
55. ტოლჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1950-1952 წწ... გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ. 1970
56. ფეშანგი, შაჰნავაზიანი. თბ. 1936
57. ქათიმ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა... გიული ალისანიამ. თბ. 1978
58. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ. 1959
59. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. გამოსცა ი. დოლიძემ, თბ. 1965
60. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. გამოსცა... ი. დოლიძემ, თბ. 1970
61. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. გამოსცა ... ი. დოლიძემ, თბ.
62. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V. გამოსცა... ი. დოლიძემ, თბ.
63. ქართული სამართლის ძეგლები. გამოსაცემად მოამზადა, ... ი. სურგულაძე. თბ. 1970
64. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ. 1955
65. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. I (S კოლექცია). თბ. 1960
66. ქართულ ხელნაწერთა არწერილობა. III (S კოლექცია). თბ. 1963
67. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. (S კოლექცია). თბ. 1969
68. დ. ქორიძე. ქართველი ქალები. თბ. 1976
69. ჟან შარდენი, მოგზაურობა. ფრანგულიდან თარგმნა... მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1975

70. ნოდარ შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის, ოსმალური წყაროები. თბ. 1974

71. ნოდარ ციციშვილი, მთიები. თბ. 1930

72. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გამოცემის მამოზადა... გიული ალასანია. თბ. 1980

73. გ. წერეთელი მარიამ დედოფალი და მისი შვილი ოტია. უ. „მწვემსი“, 1893. N12

74. ზ. ხიდურული. ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (მეფის დომენი), თბ. 1989

75. მაკარ ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები. თბ. 1949

76. გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან თბ. 1955

77. გ. ჯამბურია. საქართველოს პოლიტიკური ვითარება. XVII საუკუნის 30-90 იან წლებში (წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV თბ. 1973)

78. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბ. 1967

79. ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ. 1966

80. Д. Бакрадзе. Археологические путешествия по Гурии и Адчаре. СПб. 1878 г.

81. Г. Гагарин. Сборник Византийских, Грузинских и старорусских орнаментов и памятников Архитектуры. СПб. 1897-1903 г.г.

82. Н. Гелашвили. И. Павлова. К вопросу о назначении Ростом-хана на Картлииский престол. 1987 г.

83. Пл. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии. Тифл. 1850 г.

84. Пл. Иоселиани. Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей Магометан. Тифл. 1849 г.

85. Пл. Иоселиани. Описание Марткопского монастыря. Тифл. 1847 г.

86. Матерялы по истории Русско-Грузинских отношений. I. документы к печати подготовил Г. Паичадзе, Тб. 1974 г.
87. П. Жузе. Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария, Казань. 1905 г.
88. Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектуры нагорной части исторической провинции Грузии-Шида Картли. Тб. 1975.
89. Е. Такаишвили. Канчаетский "жам-гулани" и исторические приписки его кинклоса. СММПК. вып. 29. Тифл. 1901 г.
90. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. т. I. вып. III. СПб. 1894 г.
91. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб. 1959 г.
92. M.Brosset, Rappports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie Exeque en 1847-1848. Livr I SPB. 1850 (Rapport VI).
93. A.Cronicle of the Carmelites in Persia and the Papal mission of the XVII-th and XVIII-th centuries, I London. 1939
94. B.dorn. Beitrage zur Geschichte der Kaukasisch-enlander und Volker.aus morgen landischen Quellen.Memoires de l'Academie imperiale des sciences de Saint-Petersbourg.Sixieme serie.St.Petersbourg 1840.
95. M.Van Esbroeck, Les Plus Anciens homeliaires Georgiens, Lourain-La Nouve. 1975
96. David Marshall Lang, The Last years of the Georgian Monarcy (1658-1832). New-York. 1975
97. Sanson. Voyage ou Relation de Perse. Paris. 1691

საარქივო მასალები:



99. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია). ფონდი 1448. საბუთი 9999
100. სცსია. ფონდი 1450. დავთარი I.
101. სცსია. ფონდი 1450. დავთარი 10.
100. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი

A-84

სარჩევი:



| | |
|---|----|
| 1. წინასიტყვაობა. | 3 |
| 2. მარიამ დადიანის სახლობა. | 5 |
| 3. მარიამ დადიანის გადღოფლება ქართლში. | 9 |
| 4. მარიამ დედოფალი როგორც სახელმწიფო მოღვაწე. | 17 |
| 5. სამეფო მეურნეობის აღდგენა-აღორძინება. | 26 |
| 6. მარიამ დედოფალი-ქრისტიანული ეკლესიის მოამაგე. | 31 |
| 7. მარიამ დედოფალი და ვახტანგ V. | 40 |
| 8. მარიამ დედოფლის პირადი ცხოვრება და ზნეობრივი სახე. | 46 |
| 9. მარიამ დედოფლის იკონოგრაფიისათვის. | 49 |
| 10. მარიამ დედოფლის გარდაცვალება. | 53 |
| 11. დამოწმებული წყაროებისა და გამოკვლევების სია. | 56 |
| 12. საარქივო მასალები. | 62 |

კომპიუტერზე ააწყო ნიხო შერმაზანაშვილ-აღაპიშვილმა.
პროგრამისტი - მანანა ჩინჩალაძე.
კორექტორი - რუსიკო დავითური.

ქ- 25.968

გამომცემელი

პრნა სოსელია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი

სოსო მურაღულიანი.

ტირაჟი 450

უახი სახელმეკრულებო



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა